

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

გვანცა აბაშმაძე

ანგლიციზმების ქართულთან ადაპტაციის და ინტეგრირების
ენობრივ-კულტურული თავისებურებები გლობალიზაციის
კონტექსტში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ანგლისტიკის ფაკულტეტზე მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნათია დავითიშვილი
ფილოლოგიის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

გორი

2019

სარჩევი

შესავალი ----- 5

თავი I . ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორები ენობრივი სესხების პროცესში

§1. გლობალიზაციის ენობრივი ასპექტი -----	10
§2. ენობრივი სესხების პროცესი ქართულ ენაში -----	13
§3. ანგლიციზმების სესხების ძირითადი ლინგვისტური მიზეზები -----	16
§4. ენის სიწმინდე და მედიატორი ენების როლი -----	20
§5. ენობრივი სესხების ფორმები -----	25

თავი II. ანგლიციზმების ადაპტაციის თავისებურებები თანამედროვე ქართულ ენაში

§1. ანგლიციზმების ქართულთან ადაპტაციის დონეები -----	30
1.1 ორთოგრაფიული დონე -----	30
1.2 ფონოლოგიური დონე -----	31
1.3 მორფოლოგიური დონე -----	32
1.4 სემანტიკური დონე -----	34
§2. ანგლიციზმების მორფოლოგიური ადაპტაცია -----	36
2.1 არსებითი სახელი -----	37
2.2 ზედსართავი სახელი -----	39
2.3 ზმნა -----	40
2.4 ზმნიზედა -----	40

§3. აფიქსების ადაპტაცია -----	41
თავი III. ანგლიციზმების სემანტიკური ტიპოლოგია ქართულ ენობრივ-კულტურულ სივრცეში	
§1. ანგლიციზმების სემანტიკური ადაპტაციის თავისებურებები -----	42
§2. ანგლიციზმების ლექსიკურ-სემანტიკური კლასები თანამედროვე ქართულ ენაში -----	45
§3. კომპიუტერული ტექნოლოგიების სფეროში გამოყენებული ანგლიციზმები და მათი ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი -----	47
§4. სპორტის სფეროში გამოყენებული ანგლიციზმები და მათი ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი -----	49
დასკვნა -----	53
გამოყენებული ლიტერატურა -----	55

შესავალი

სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება ინგლისურენოვანი სიტყვების, ე.წ. „ანგლიციზმების“ ქართულ ენასთან ადაპტაციის და ინტეგრირების კვლევას.

ნაშრომის აქტუალურობა. ანგლიციზაციის ფენომენს განვიხილავთ როგორც მზარდ დინამიურ პროცესს, რომელიც ასოცირდება ინგლისური სიტყვების და ცნებების უხვ შემოდინებასთან ქართულ რეალობაში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლამ და საზოგადოების დემოკრატიზაციამ, ისევე როგორც მისმა სწრაფვამ nato-სა და ევროკავშირში ინტეგრაციისაკენ, განაპირობა მისი ენობრივი პოლიტიკის შეცვლა. შედეგად, მოხდა რუსული ენის ჩანაცვლება ინგლისურით, რაც, ერთი მხრივ, განპირობებულია აშშ-ს მზარდი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაზე; მეორე მხრივ კი, ინგლისურის, როგორც საერთაშორისო ენის (lingua franca), პრესტიჟული როლით გლობალურ დონეზე ჩვენი რეალობის თითქმის ყველა სფეროში – იქნება ეს პოლიტიკა, მეცნიერება და ტექნიკა, ბიზნესი, მას მედია, განათლება ცხოვრების სტილი, კულტურა, ტურიზმი, ჩვეულებრივი კომუნიკაცია თუ სხვა რამ.

ინგლისური ენის ოქსფორდის ლექსიკონის თანახმად, ტერმინი *ანგლიციზმი* ეტიმოლოგიურად მომდინარებს სიტყვიდან ინგლისი და ის პირველად ხმარებაში შემოვიდა მე-17 საუკუნეში იმ ინგლისური გამონათქვამების აღსანიშნავად, რომლებიც სხვა ენებში გამოიყენებოდა (Oxford English Dictionary, 1989, p. 18). დღეს ამ ტერმინის მნიშვნელობა გაფართოვდა, რადგან იგი აღნიშნავს ნებისმიერ ინგლისურ ნასესხებ სიტყვას, იქნება ეს ბრიტანული თუ ამერიკული წარმოშობის.

დღევანდელი გლობალიზაციის კონტექსტში, ინგლისური ენის მზარდ საერთაშორისო გავლენას ჰყავს როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეები. ნაწილი ქვეყნებისა მხარს უჭერს და წინა პლანზე წამოსწევს მისი გამოყენების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ უპირატესობებს, მაშინ როდესაც დანარჩენები სენსიტიურნი არიან და სიფრთხილეს იჩენენ სხვა ენებისა და კულტურებისადმი მოსალოდნელ საფრთხეზე. ლინგვისტური თვალსაზრისით, ლექსიკური სესხება ბუნებრივი და უწყვეტი პროცესია, რომელიც ერებისა და ენების წარმოშობის ხანიდან არის ცნობილი როგორც

კომუნიკაციის თანმდევი ერთერთი ატრიბუტი, რომელიც ხელს უწყობს და აადვილებს ადამიანებს შორის ნებისმიერი ტიპის ურთიერთობას.

და მაინც, ბევრი მკვლევარი მიუთითებს ერთი რომელიმე ენის გაბატონების შესაძლო რისკებზე. ამგვარ საშიშროებებს განიხილავს მეტ-ნაკლები სისრულით დევიდ კრისტალი თავის წიგნებში ენის სიკვდილი (*Language Death*, 2000) და ინგლისური, როგორც გლობალური ენა (*English as a Global Language* 2003). მისი აზრით, გლობალურმა ენამ შესაძლოა შექმნას რამოდენიმე საფრთხე:

1. შესაძლოა წარმოშვას ელიტარული მონოლინგვური სოციალური კლასი, რომელიც თვითკმარი, პრეტენზიული და ქედმაღლური იქნება სხვა ენების და შესაბამისი ხალხების მიმართ;

2. გაბატონებული ენის მატარებლებმა, განსაკუთრებით ვისთვისაც ეს ენა მშობლიურია, შესაძლოა მოახდინონ ამ ენით მანიპულირება თავიანთ სასარგებლოდ იმათ ხარჯზე, ვინც არ ფლობს მას;

3. გლობალურმა ენამ შესაძლოა დააჩქაროს პატარა ენების გაქრობა; ან ყველაზე ცუდი – არასაჭირო გახადოს დანარჩენი ენები (*make all other languages unnecessary* – Crystal 2003: 15).

თუმცა უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ანგლიციზაციის მთელი ეს კრიტიკა ქვეტექსტურად გულისხმობს არა იმ ფაქტს, რომ ენა არის კომუნიკაციის საშუალება; არამედ აქ ძირითადი აქცენტი გადატანილია ენის სულ სხვა ასპექტზე. კერძოდ იმაზე, რომ ენა არის ენობრივი ერთობის ეროვნული და კულტურული იდენტობის სიმბოლო. სწორედ ამგვარი მიდგომა გასდევდა ლაიტმოტივად 2006 წლის რეგენზურგის საერთაშორისო კონფერენციას *ანგლიციზმები ევროპაში*, სადაც ფრანგი, გერმანელი, იტალიელი, პოლონელი, რუსი და თითქმის ყველა ევროპელი მკვლევარი ერთხმად აღნიშნავდა, რომ ანგლიციზმებში განივთებულმა ანგლოფონურმა და ამერიკულმა სოციალურმა და კულტურულმა ღირებულებებმა შესაძლოა საფრთხე შეუქმნან მშობლიურ ენას და მის ღირებულებებს (*Anglicisms in Europe*, 2006). კონფერენციის მონაწილეებისახელმწიფოებს, გამოიჩინონ სიფხიზლე რათა არ დაუშვან გლობალიზაციის კონტექსტში “ინგლისური ენის აგრესია სხვა ენების ტერიტორიაზე, რადგან არსებობს ლინგვისტური

გენოციდის საფრთხე, რაც გულისხმობს 'გაბატონებული, დამპყრობი ენის(the dominating invader-tongue)' მიერ პატარა ენების შთანთქმას (იქვე , გვ.16).”

არსებობს ორი განსხვავებული მიდგომა ანუ “სცენარი” ანგლიციზაციის ფენომენისადმი: პესიმისტური და ოპტიმისტური:

1. პესიმისტური სცენარის თანახმად, ენებს შორის შესაძლოა “ომი” მოხდეს დომინირებული მდგომარეობის მოსაპოვებლად, რამაც შეიძლება ბაბილონის გოდოლის შედეგამდე მიგვიყვანოს, რაც იმას გულისხმობს, რომ ეროვნული კულტურები და იდენტობები განადგურდება და მთლიანად გაქრება.

2. ოპტიმისტური მიდგომის მიხედვით კი, ანგლიციზაციის ეს პროცესი უნდა გაკონტროლდეს ორი მთავარი ფაქტორით: ა) ენა უნდა განიხილებოდეს კულტურასთან კავშირში და მისი თვითგამოხატვის უნარი შინაგანი ლინგვისტური რეგულაციებით გამოყენებული უნდა იყოს უცხოური ენის ელემენტების თავიდან ასაცილებლად; ბ) მეორე ფაქტორი კი გახლავთ უცხოური ენის გავლენის დროებითობა, რაც გულისხმობს ნასესხები ელემენტების ხანმოკლე არსებობას მიმღებ ენაში.

დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირიდან გასვლის (“ბრექსიტის”) შემდეგ, ჩამოყალიბება დაიწყო ანგლიციზაციის ფენომენისადმი სრულიად განსხვავებულმა მიდგომამ, რომელიც უკვე გამოჩნდა დასავლურ პრესაში, თუმცა, ჯერჯერობით ეს მიდგომა უფრო პოლიტიკურია ვიდრე ლინგვისტური. ამ თეორიის თანახმად, დიდი ბრიტანეთს შესაძლოა სხვა ევროპულმა სახელმწიფოებმაც მიზამონ და დატოვონ ევროკავშირი, რის შედეგადაც მათი ამჟამინდელი რაოდენობა შეიძლება 28-დან 10 ძირითად ქვეყანამდე შემცირდეს, რომლის პოლიტიკური ლიდერი გერმანია იქნება, ხოლო რელიგიური – რომი. “ბოლო სამი საუკუნის განმავლობაში, მსოფლიოში დომინირებდა ინგლისურად მოლაპარაკე ხალხი. ეს ხანა დასასრულს უახლოვდება და ის შეიცვლება ახალი გეოპოლიტიკური ლანდშაფტით, რომელის მთავარი მოთამაშეც ევროპა იქნება (Hawkins & Johnson, 2016).”

ცნობილი ინგლისელი მკვლევარი დევიდ კრისტალის აზრით, როდესაც ქვეყანა სესხულობს ენას, ის ითვისებს და ითავისებს მას: “When a country adopts a language it adapts it in different ways” (Crystal 2001). ლინგვისტური თვალსაზრისით, ადაპტაციის

პროცესში იკვეთება რამოდენიმე ტიპობრივი მომენტი გამოთქმის, ორთოგრაფიის, სემანტიკის, სიტყვაწარმოების და ფორმაწარმოების კუთხით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი **სამაგისტრო ნაშრომის მიზანია** ანგლიციზმების კვლევა ქართულ ენაში და იმ ენობრივ-კულტურული და პრაგმატიკული ფაქტორების გამოვლენა და განზოგადება, რომლებიც თან ახლავს ნასესხები სიტყვების ადაპტაციის და ინტეგრირების პროცესს ჩვენს სინამდვილეში. კვლევის ზოგადი მიზნები განაპირობებს შემდეგი **კონკრეტული ამოცანების** გადაჭრას:

1. პირველ რიგში განვიხილავთ იმ ენობრივ-პრაგმატიკულ და სოციოლინგვისტურ ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებენ ანგლიციზმების გავრცელებას გლობალიზაციის კონტექსტში, რის საფუძველზეც შევეცდებით გამოვავლინოთ, არის თუ არა რაიმე სპეციფიკური ფაქტორი, რომელიც განაპირობებს მათ უხვად შემოდინებას ქართულ სინამდვილეში;
2. მეორე საფეხურზე განვიხილავთ ანგლიციზმების ქართულ ენასთან ადაპტაციას და ინტეგრირებას მორფოლოგიურ დონეზე ინგლისური ნასესხები სიტყვების ფორმა-წარმოებითი და სიტყვაწარმოებითი თავისებურებების გათვალისწინებით;
3. მესამე, დამასრულებელ ეტაპზე შევეცდებით განვახორციელოთ ანგლიციზმების სემანტიკური ტიპოლოგია ქართულ ენობრივ-კულტურულ სივრცეში.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ანგლიციზმების ამგვარი რაკურსით კვლევა თანამედორვე ლინგვისტური თეორიების გამოყენებით ჯერ არ განხორციელებულა, რაც განაპირობებს ჩვენი სამაგისტრო ნაშრომის **თეორიულ ღირებულებას და სიახლეს**. რაც შეეხება მის **პრაქტიკულ დანიშნულებას**, ვფიქრობთ, მასში განზოგადებული თეორიული და ემპირიული მასალა შეიძლება საინტერესო იყოს როგორც ინგლისური და ქართული ენის სპეციალისტებისთვის, ასევე მთარგმნელებისთვისაც, რადგანაც ანგლიციზმების გაქართულება საკმაოდ რთულ პრობლემას წარმოადგენს.

საკვლევ ემპირიულ მასალად გამოყენებული გვაქვს ის ინგლისურენოვანი ნეოლოგიზმები, რომლებიც ქართულ ენაში მე-20 საუკუნის დასასრულიდან დღემდე შემოვიდა და გამოყენების მაღალი ხარისხი აქვთ ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

ანგლიციზმების ლინგვოკულტუროლოგიურ შესწავლას და განზოგადებას ვახდენთ ემპირიული კვლევის მეთოდების და ე.წ. “content-analysis” გამოყენებით. მორფოლოგიურ დონეზე კი გამოყენებული გვაქვს კომპონენტური ანალიზის მეთოდი.

ნაშრომის სტრუქტურას განსაზღვრავს კვლევის მიზნები და კონკრეტული ამოცანები. იგი შედგება შესავლის, სამი თავის და დასკვნითი ნაწილისგან. მას თან ახლავს გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის სია.

შესავალში ტრადიციულად დასაბუთებულია არჩეული თემის აქტუალურობა. განსაზღვრულია კვლევის მიზნები და ამოცანები, მათი გადაჭრის მეთოდოლოგიური საფუძველი და ანალიზის კონკრეტული მეთოდები. ხაზგასმულია ასევე სამაგისტრო ნაშრომის მეცნიერული სიახლე, მისი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება.

პირველი თავი – „ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორები ენობრივი სესხების პროცესში“ – ეძღვნება გლობალიზაციის თანმხლები ენობრივ-პრაგმატიკული და სოციოლინგვისტური ფაქტორების განზოგადებას.

მეორე თავში – „ანგლიციზმების ადაპტაციის თავისებურებები თანამედროვე ქართულ ენაში“ – განხილულია ინგლისურენოვანი ნასესხები სიტყვების მორფოლოგიურ-სტრუქტურული ინტეგრირება ქართული ენის სისტემაში.

მესამე თავი – „ანგლიციზმების სემანტიკური ტიპოლოგია ქართულ ენობრივ-კულტურულ სივრცეში“ – დათმობილი აქვს ინგლისურენოვანი სიტყვების დიფერენცირებას გამოყენების სფეროების მიხედვით.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში ჩამოყალიბებულია კვლევის შემაჯამებელი თეორიული განზოგადებები.

თავი I

ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორები ენობრივი სესხების პროცესში

§ 1. გლობალიზაციის ენობრივი ასპექტი

პირველ რიგში, ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ტერმინ „გლობალიზაციის“ მნიშვნელობაზე. ერთი მხრივ, იგი გამოიყენება იმ მნიშვნელოვანი ეკონომიკური, პოლიტიკური, ეკოლოგიური თუ კულტურული ცვლილებების აღსანიშნავად, რომელთაც გლობალურად აქვთ ადგილი თანამედროვე საზოგადოების სტრუქტურაში. მეორე მხრივ, ამ ტერმინს აქვს მნიშვნელოვანი ლინგვისტური დატვირთვა და იგი მეტწილად გულისხმობს ინგლისური ენის მზარდ გავრცელებას მსოფლიოს მასშტაბით, რაც ეკონომიკური და გეოპოლიტიკური გლობალიზაციის თანმხლები ფაქტორია. უნდა აღინიშნოს, რომ, როდესაც ლაპარაკია ინგლისური ენის გლობალიზაციაზე, ჩვეულებრივად გულისხმობენ მის ამერიკულ ვარიანტს, რაც განპირობებულია ამერიკის შეერთებული შტატების როგორც სუპერსახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკური მნიშვნელობით.

ინგლისური ენა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ენათა რიცხვს მიეკუთვნება. ერთი შეხედვით წარმოუდგენლად გვეჩვენება, როგორ შეიძლება ბოდა შედარებით პატარა კუნძულის მცხოვრებთა მშობლიური ენა გამხდარიყო მსოფლიო მნიშვნელობის ენად. დღეისათვის მსოფლიო საერთაშორისო ენად აღიარებული ინგლისური ენა დაახლოებით 300 წლის წინ მხოლოდ ინგლისელების მშობლიური ენა იყო. იგი მიეკუთვნება გერმანიკულ ენათა ჯგუფს და მას საფუძვლად უდევს ანგლოსაქსური ის დიალექტები, რომლებიც გავრცელებული იყო ინგლისის სამხრეთ ნაწილში.

შესაბამისად იბადება კითხვა: ასეთ ვითარებაში, რამ განაპირობა ინგლისური ენის გავრცელება მსოფლიო მასშტაბით? ზოგიერთი მკვლევარის აზრით, არსებობს ინგლისური ენის გლობალიზაციის ორი ძირითადი მიზეზი. ესენია: მიგრაცია და კოლონიალური პოლიტიკა (Strevens 1981), თუმცა დღეისათვის ამ ორ ძირითად მიზეზს დაემატა საყოველთაოდ აღიარებული კიდევ რამოდენიმე ფაქტორი:

1. მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი აღმავლობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რამაც ბიძგი მისცა სამეცნიერო და ტექნიკური მიღწევების პუბლიცირებას ინგლისურ ენაზე. შესაბამისად, ბევრი ადამიანი ეუფლება ინგლისურს, რათა გაეცნოს მისთვის საინტერესო ლიტერატურას;
2. აშშ-ს სამხედრო და პოლიტიკური გავლენის ზრდა საერთაშორისო სარბიელზე, რამაც განაპირობა ინგლისურის აყვანა ერთ-ერთი საერთაშორისო პოლიტიკური ენის სტატუსში;
3. ინგლისური ენის გლობალიზაციის გამომწვევ ფაქტორად ითვლება ასევე ელექტრონული კომუნიკაციის განვითარება. ინტერნეტული რევოლუციის შედეგად ინგლისური გადაიქცა კომუნიკაციის ერთ-ერთ ძირითად ენად, რომელზედაც კომპიუტერით განხორციელებული დისკურსის დაახლოებით 70 % ხორციელდება;
4. არანაკლებ მნიშვნელოვანია ამერიკული ინგლისურის შედარებით იოლი ათვისებადობა, რაც განპირობებულია ბრიტანულთან შედარებით მისი გრამატიკული და ორთოგრაფიული სიმარტივით და ლექსიკური მოქნილობით.
5. 1990–იან წლებში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, პოლიტიკური რეჟიმის შეცვლას და შეზღუდვების მოხსნას თან მოჰყვა ინგლისურენოვანი სიტყვების ნიაღვარივით შემოდინება. ეს მოვლენა განპირობებული იყო არა მარტო იდეოლოგიური ცვლილებებით, არამედ უსაზღვროდ დიდი რაოდენობის ახალი ცნებების გაჩენით და იმ ხალხის ნაკლებობით, რომლებსაც ექნებოდათ შესაბამისი კვლიფიკაცია ამ ცნებების ენობრივად გასაფორმებლად.
6. საქართველოში (ალბათ, სხვა ქვეყნებშიც) ანგლიციზმების გავრცელება ძირითადად დედაქალაქისთვის არის დამახასიათებელი, რაც აიხსნება მისი წამყვანი მნიშვნელობით ქვეყნის ადმინისტრაციულ, პოლიტიკურ, საგანმანათლებლო და კულტურულ ცხოვრებაში. ანგლიციზმების გავრცელება განპირობებულია ასევე ისეთი პრაგმატიკული ფაქტორით, როგორც არის მეტყველების მოდური სტილი სოციალური ელიტარულობის ხაზგასმის მიზნით. დღეს პრესტიჟულად ითვლება ინგლისური სიტყვების ფართო გამოყენება– ე.წ. “code-switching”, რომელსაც ხშირად მიმართავენ პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები და ახალგაზრდები.

საქართველოში ანგლიციზმების მოდურმა გამოყენებამ, შეიძლება ითქვას, მაინკიერი სახე მიიღო სარეკლამო ბიზნესსა და ვაჭრობაში, როდესაც მაღაზიებსა და სხვა დაწესებულებებზე გაჩნდა მოსახლეობისთვის 90%-თვის არაფრისმთქმელი ინგლისურენოვანი ისეთი წარწერები, როგორცაა "ფუდმარტი", "უნიდენტი", "უნიფუდი" და ა.შ.. გვხვდება ენობრივად სრულიად მიუღებელი წარწერებიც: "New Meat" ("ახალი ხორცი", არა – "raw meat"), "New bread" ("ახალი პური" – "fresh bread"), "Many-Branch Firm" ("მრავალდარგოვანი საწარმო" – "multibranch enterprice") და სხვ. ჩვენი აზრით, ასეთი ფაქტების თავიდან ასაცილებლად საჭიროა სახელმწიფო რეგულაციების შემოღება.

XX საუკუნის ბოლოს საბჭოთა კავშირის დაშლას და იმ წინააღმდეგობების ნგრევას, რაც დასავლურ სამყაროსთან ურთიერთობას უშლიდა ხელს, მოჰყვა საქმიანი, სამეცნიერო, სავაჭრო, კულტურული კავშირების გააქტიურება. განვითარება დაიწყო უცხოურმა ტურიზმმა, ჩვეულებრივი ამბავია ხანგრძლივი დროით სპეციალისტებისა და სტუდენტების გაგზავნა სამუშაოდ და/ან სასწავლებლად საზღვარგარეთის ქვეყნების დაწესებულებებში. საქართველოს ტერიტორიაზე მოღვაწეობს ერთობლივი ქართულ-უცხოური კომპანიები და სხვა, რაც განაპირობებს უნიფიცირებული დარგობრივი ტერ-მინოლოგიური სისტემების შექმნას, რაშიც ინგლისურ ენას, როგორც ლინგვა ფრანკას, გადამწყვეტი როლი აქვს.

ამრიგად, ანგლიციზმების შემოდინება ქართულ ენაში შეიძლება განპირობებული იყოს როგორც გლობალიზაციის თანმხლები საყოველთაოდ აღიარებული ფაქტორებით, ასევე ისეთი პრაგმატიკული და სტილისტური ფაქტორებით, როგორც არის მოდერნულობა, პრესტიჟულობა, ქალაქურობა, ექსპრესიულობა და ინტერნაციონალიზაცია.

მიგვაჩნია, რომ სიტყვების სესხება არის ენის და საზოგადოების ურთიერთგავლენის ბუნებრივი შედეგი. ჩვენი აზრით, ინგლისურენოვანი ნეოლოგიზმების მკვეთრი ზრდა გამოწვეულია სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული ფაქტორებით და საზოგადოების ფართო მხარდაჭერით, რის გამოც ნასესხები სიტყვები კულტურათაშორისი კომუნიკაციის მედიატორებად შეიძლება განვიხილოთ.¹

¹ Maximova T.V., Anglicisms in Russian Mass-Media Discourse.// Anglicisms in Europe. International conference. Abstracts. Regensburg University, 26-28. September 2006, pp. 12-13. <https://www.google.ge/+Anglicisms+in+Europe.+International+conference.+Abstracts.+Universitat+Regensburg+26.28.+September+2006>

ენობრივ სისტემას აქვს უნარი ადაპტირდეს გარემოცვის ფუნქციურ მოთხოვნებთან, იგი უაღრესად მოქნილია. სესხება - ეს არის ენობრივი სისტემის თავის ფუნქციასთან შესაბამისობაში მოყვანის ერთ-ერთი ხერხი და თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში, რომელშიც პოლიტიკურმა, იდეოლოგიურმა გახსნილობამ გარეშე ზეგავლენის მიმართ ენის გახსნილობასთან მიგვიყვანა, ამ პროცესის აქტივაცია სავსებით ზომიერია. ლინგვისტები სხვადასხვაგვარად აფასებენ ენობრივი სესხების პროცესს და ანგლიციზმების ინტენსიურ შემოდინებას ქართულ ენაში. უმეტესობა აღნიშნავს, რომ ეს ტენდენცია ობიექტურია და ამ პროცესის გააქტიურება მთელი რიგი ისტორიული, ენობრივი, პრაგმატიკული და სოციოლინგვისტური ფაქტორებით არის განპირობებული. შესაბამისად, მხოლოდ ქართული ენის მომავალ განვითარებას შეუძლია გვიჩვენოს, თანდათან შენელებს თუ არა ეს პროცესი, რომელი ნასესხები ერთეული იქნება ათვი-სებული და შევა ენობრივ სისტემაში და, რომელი ამოვარდება ჯერ კიდევ სესხების საწყის სტადიაზე.

ეჭვგარეშეა, რომ ანგლიციზმების შემოდენა ქართულ სინამდვილეში შემთხვევით ხასიათს არ ატარებს და მისი თავისებურებების და კანონზომიერების გამოვლენის მიზნით მნიშვნელოვანია დავაკვირდეთ ენობრივ პროცესებს – რომელი პროცესების გააქტიურება ან ჩაქრობა ხდება, ხოლო შემდგომ რომელი მოვლენები შენარჩუნდება ენაში და რომელი ვერ გაუძლებს დროის გამოცდას. ეს საშუალებას იძლევა, გავაკეთოთ დასკვნები ზოგადენობრივი ტენდენციების შესახებ (Görlach 2003:51).

ასეთი კვლევების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს მეთოდოლოგიის სწორად შერჩევას, რომელიც, ჩვენი აზრით, ინტერდისციპლინურ ხასიათს უნდა ატარებდეს და მოიცავდეს როგორც საკუთრივ ლინგვისტური, ასევე პრაგმატიკული, სოციოლინგვისტური და ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის ელემენტებს.

§ 2. ენობრივი სესხების პროცესი ქართულ ენაში

მე-20 საუკუნის დასასრულს და 21-ე საუკუნის დასაწყისში ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ანგლიციზმების შემოსვლა აქტიურ ფაზაში შევიდა. დღეს, როგორც არასდროს, უაღრესად დიდი რაოდენობით ნასესხები სიტყვა შემოდის ქართულ ენაში.

ამ პროცესმა მოიცვა არა მარტო ბიზნესი. პოლიტიკა და პრესა, არამედ სამუალო ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება.

ქართულმა ენამ თავისი განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე მრავალი ენის გავლენა განიცადა. ბერძნული, სპარსული, არაბული, თურქული, რუსული – ის ენებია, რომლებმაც ქართული ენა ახალი სიტყვების შემოტანით გაამდიდრეს. აღსანიშნავია, რომ დროთა ვითარებაში ბევრი ნასესხები სიტყვა გაუჩინარდა, ხოლო ბევრი კი იმდენად შეუსისხლხორცდა ქართულს, რომ მათი უცხოური წარმომავლობა აღარ იგრძნობა.

XX საუკუნეში ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკურად განვითარებამ და სუპერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებამ განაპირობა ის, რომ ინგლისური ენა გახდა საერთაშორისო ენა. საბჭოთა კავშირის დაშლას და იმ წინააღმდეგობების ნგრევას, რაც დასავლურ სამყაროსთან ურთიერთობას უშლიდა ხელს, მოჰყვა საქმიანი, სამეცნიერო, სავაჭრო, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირების გააქტიურება. ყველაფერმა ამან კი ასახვა ჰპოვა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

პოსტ-საბჭოთა პერიოდში სამთავრობო დაწესებულებებმა და სტრუქტურებმა სწრაფად შეიცვალეს სახელწოდებები. *უზენაესი საბჭო* იქცა *პარლამენტად*, რომელსაც ჰყავს *სპიკერი*; *მინისტრთა საბჭო* იქცა *მინისტრთა კაბინეტად*, მისი *თავმჯდომარე* კი *პრემიერ-მინისტრად* (ან უბრალოდ *პრემიერად*), მისი *მოადგილეები* *ვიცე-პრემიერებად*. ქალაქებს ჰყავთ *მერები*, *ვიცე-მერები*, *პრეფექტები*, რომლებიც მუშაობენ რეგიონალურ *ადმინისტრაციებში*. ადმინისტრაციის ხელმძღვანელებს ჰყავთ *პრეს-მდივნები* ან *პრეს-ატაშეები*, რომლებიც რეგულარულადგამოდიან *პრეს-კონ-ფერენციებზე*, აგზავნიან *პრეს-რელიზებს*, აწყობენ *ბრიფინგებს* და თავიანთი *შეფების ექსკლუზიურ ინტერვიუებს*.

ინგლისური ენა, რომელიც თავის დროზე მრავალი ენის ზეგავლენის პროცესში ჩამოყალიბდა და სხვადასხვა ენიდან მოახდინა ლექსიკური ერთეულების იმპორტი, მეოცე საუკუნეში თავად გახდა მსოფლიოს უდიდესი ლექსიკური ექსპორტიორი და ეს ექსპორტი იზრდება XXI საუკუნეშიც. მაგრამ ვითარება არ უნდა წარმოვიდგინოთ ისე, რომ თითქოს ინგლისური აღარ განიცდის სხვა ენების გავლენას. დღესდღეობითთანამედროვე ინგლისური ენის განვითარებაზე, ორივე აშშ-ში და ბრიტანეთში, დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელე.

ამიტომაც ლექსიკონში ადგილი დაიმკვიდრა ჩინურმა, ინდურმა, იაპონურმა, რუსულმა სიტყვებმა. ბევრია ასევე ნასესხები სიტყვები ივრითიდან და იდიშიდან (ანუ ახალბრაულისა). მიუხედავად ყველაფრისა, ინგლი-სური, რომლის ლექსიკის საკმაოდ დიდი რაოდენობა თავად შედგება ნასესხები სიტყვებისგან, Lingua Franca-ად გადაიქცა მე-20 საუკუნის ბოლოს და 21-ე საუკუნის დასაწყისში.

ბუნებრივია, იბადება კითხვა იმასთან დაკავშირებით, იქმნება თუ არა საფრთხე ქართული ენისათვის და კულტურისათვის ესოდენ მრავალრიცხოვანი ანგლიციზმების შემოდინებისგან. ენათმეცნიერები მიიჩნევენ, რომ ახალი სიტყვების შემოჭრა ენისათვის ერთგვარ ვაქცინაციას წარმოადგენს, რომელიც მის ბრძოლისუნარიანობას აძლიერებს. მათი აზრით, ენა თავადვე აწესრიგებს ლექსიკურ ინვენტარს და რაც ფასეულია – იტოვებს, ზომიერების დაცვით (McArthur 2008: 312).

ნასესხები სიტყვები არც ერთი ენისათვის არ არის უცხო და ეს ტრაგედიას არ წარმოადგენს. ის ფაქტი, რომ ქართულ ენას ბევრი აქვს ნასესხები არაბულისა და სპარსულისაგან, ეროვნული განგამის მიზეზი ისტორიულად არასდროს გამხდარა და ქვეყანა ამით არც დღეს დაიქცევა. არაბული სიტყვებია: „აღყა“, „თაღლითი“, „თარსი“, „რაფა“ და სხვა მრავალი, განა ისინი ხელს უშლიან რაიმეს? ლათინურია „რეალიზმი“, ესპანურია „ტომბატი“, ფრანგული სიტყვაა „როიალი“.

უცხოური სიტყვების გარეშე ენის არსებობა შეუძლებელია, რადგან ეს იქნებოდა თვალის დახუჭვა იმაზე, რა ხდება სამყაროში. ენა ფხიზლად რეაგირებს იზოლაციონიზმზე და ხშირად შურსაც იძიებს. ანგლიციზმების ნიაღვარი, რომელიც თავს დაატყდა ქართულ ენას XX საუკუნის 90-იან წლებიდან დაწყებული, ჩვენი აზრით, არის საბჭოთა იზოლაციონიზმის საფასური, რომელიც მკაცრად კეტავდა ნამდვილ თუ ვირტუალურ საზღვრებს ყოველივე უცხოურის მიმართ.

§ 3. ანგლიციზმების სესხების ძირითადი ლინგვისტური მიზეზები

ამა თუ იმ ენის პრიორიტეტული გამოყენება ისტორიის მანძილზე განპირობებული იყო სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედროს ძლიერებით. შუა საუკუნეების ევროპის ინტელექტუალურ წრეებში დომინირებდა ლათინური, მე-17 საუკუნიდან მე-20 საუკუნემდე საერთაშორისო დიპლომატიის ენად ევროპის ე.წ. „მაღალ საზოგადოებაში“ ითვლებოდა ფრანგული. მე-20 საუკუნეში, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე, გაბატონებული ეკავა გერმანულ ენას, დღეს კი ანგლიციზმთა საყოველთაო მოზღვაების მასშტაბურობის წყარო არის გლობალიზაცია და ის წამყვანი როლი, რომელსაც ამერიკა ასრულებს მის ფარგლებში.

ინგლისურ ენას ძლიერი გავლენა აქვს მსოფლიოს სხვადასხვა ენის ლექსიკაზე, მათ შორის ქართულზეც. ამის ნათელი დასტურია ანგლიციზმების ინტენსიური შემოსვლა ადამიანის მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში. მოვლენათა ასეთმა განვითარებამ ენათმეცნიერებში გამოიწვია დიდი ინტერესი, რასაც მოჰყვა მეცნიერული კვლევები იმის დასადგენად, თუ რამდენად დიდია და რა დადებითი თუ უარყოფითი შედეგები აქვს ინგლისურის გავლენას სხვა ენებზე. შესაბამისად, შევეცდებით ჩვენთვის ხელმისაწვდომ ლინგვისტურ ლიტერატურაზე დაყრდნობით, დავაკვირდეთ იმ არც თუ ისე მცირე რაოდენობის ინგლისურ სიტყვებს, რომლებიც შემოდინებულ იქნა ქართულ ენაში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში და განვიხილოთ ის გზები, რომლითაც მოხდა მათი მნიშვნელობის ტრანსფორმირება ან მოდიფიცირება.

ანგლიციზმების გამოყენება სოციოლინგვისტური თვალსაზრისით შესაძლოა დაიყოს შრეებად, ისეთ ფაქტორების გათვალისწინებით, როგორცაა ასაკი, სქესი, განათლების დონე და სოციალური ჩვევები. თავისთავად ცხადია, რომ სხვადასხვა ჯგუფების მიერ ინგლისური ენიდან სიტყვების სესხება განსხვავებული თემატური სფეროებიდან ხდება. ანგლიციზმების დამკვიდრებაში თავისი განსაკუთრებული როლი აქვს მასმედიას (პერიოდულ გამოცემებს, რადიო-ტელევიზიას და ა.შ). ინგლისური ენიდან სიტყვების სესხება, ალბათ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო გავლენისყველაზე კონკრეტული და ინტენსიური გამოვლინებაა. თეორიულად, ნასესხები სიტყვები შეიძლება მივიჩნიოთ როგორც დადებით წვლილად

კონკრეტულ ენაში, ისე საფრთხედ ამ ენის განვითარებისათვის. პრაქტიკულ დონეზე ანგლიციზმები მთარგმნელებისათვის ხშირად წარმოადგენს დილემას, რადგანაც მათი გამოყენება მჭიდროდაა დაკავშირებული სტილისა და ჟანრის პრობლემებთან.

რატომ სესხულობს ენა სიტყვებს? ლექსიკური სესხება დღეს საეთაშორისო სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთგაცვლის შედეგია. მეცნიერება, სპორტი, ტექნოლოგია, მასმედია და სხვა კიდევ ბევრი საქმიანობა, რომელთაც ადამიანები მისდევენ, არის ლექსიკური სესხების განმსაზღვრელი ფაქტორები.

მათგან განსხვავებით, არსებობს სუფთა ლინგვისტური ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ ინგლისური სიტყვების გავრცელებას. ბევრი ლინგვისტი მიიჩნევს, რომ მოქმედებს ე.წ. „ნაკლები ძალისხმევის კანონი“, ანუ მოსაუბრეები უპირატესობას ანიჭებენ ანგლიციზმებს, ვინაიდან ისინი მოკლეა, ზუსტად გამოხატავენ შესაბამის ცნებას, წარმოსათქმელად ცოტა დრო სჭირდება და უკეთ არიან ადაპტირებული დღევანდელი მოუსვენარი ცხოვრების სტილის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ „ნაკლები ძალისხმევის კანონში“ არის სიმართლის ელემენტი, მაინც არ იქნებოდა სწორი, რომ კატეგორიულად მივაწეროთ სესხება ზემოთ აღნიშნულს ფენომენს. გასათვალისწინებელია ასევე ფსიქო-სოციალური ფაქტორები. ნაწილობრივ ამის ახსნა შეიძლება მოინახოს სოსიურის „ზოგადი ლინგვისტიკის კურსში“, სადაც ავტორი ამტკიცებს, რომ არ არსებობს წმინდა სინონიმი, რომ ყველა სიტყვა, რომელიც მსგავს აზრს გამოხატავს ერთმანეთს ზღუდავს. სინონიმებს აქვთ საკუთარი მნიშვნელობა მხოლოდ და მხოლოდ ოპოზიციის გამო; თუ ერთი მათგანი არ იარსებებს, მაშინ მისი შინაარსი მეტოქე სინონიმის შინაარსში გადავა (Saussure 1977: 109-110). იმის თქმა, რომ შეიძლება შევცვალოთ „შოპინგი (shopping)“ „საყიდვებზე წასვლით“ არასწორია, ვინაიდან თავად ის ფაქტი, რომ ეს სიტყვა უცხოურია მის სემანტიკურ მნიშვნელობას ცვლის.

იმ მიზეზთა შორის, რომლებიც ხელს უწყობენ უცხოური ნეოლოგიზმების მასიურ და იოლ შეღწევას ენაში, გარკვეული ადგილი ექსპრესიულ და სოციალურ - ფსიქოლოგიურ ფაქტორებს უკავია. ბევრი ჩვენთაგანი თვლის, რომ უცხოური სიტყვა უფრო პრესტიჟულია შესაბამის ქართულ სიტყვასთან შედარებით: „პრეზენტაცია“ უფრო მიმზიდველი ჩანს, ვიდრე ჩვეული „წარდგენა“; „კომფორტული“ უფრო კარგად

ჟღერს, ვიდრე „მოსახერხებელი“, „დეპარტამენტი“ არ არის იგივე, რაც „განყოფილება“, „ტოპ-მოდელი“ უფრო სტილისტურად დატვირთული და „მაგარია“, ვიდრე „საუკეთესო მოდელი“. თუმცა უნდა ითქვას, რომ აღინიშნება გარკვეული აზრობრივი გამიჯვნა დედა ენისა და უცხოური სიტყვების, „პრეზენტაცია“ არის საზეიმო წარდგენა წიგნის, თემის და ა.შ. „ექსკლუზიური“ ყველაზე ხშირად შეიძლება იყოს ინტერვიუ, ან უფლება.

უფროსი თაობის ადამიანები უფრო ნაკლებად ტოლერანტულები არიან უცხოური ლექსიკისადმი, ვიდრე ახალგაზრდობა. ჰუმანიტარულთან შედარებით ტექნიკურ მეცნიერებათა წარმომადგენლები ნაკლებად აქცევენ ყურადღებას იმას, რა სიტყვას ხედავენ ან ისმენენ ისინი, ქართულს თუ უცხოურს. ინგლისური დღესუფრო მოდურია, ვიდრე ოდესმე, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. ალბათ, ცოტა ვინმე თუ შეედავება იმ მტკიცებას, რომ ჩვეულებრივი მოზარდი უფრო მეტი რაოდენობის ანგლიციზმს იყენებს ვიდრეზრდასრული ადამიანი. ეს ცხადყოფს კავშირს ინგლისური სიტყვების გამოყენებასა და სოციალურ აღქმას შორის. სწორედ ახალგაზრდები არიან ის ასაკობრივი ჯგუფი, რომლებიც სესხულობენ სასაუბრო ანგლიციზმების უმეტეს ნაწილს. თანდათანობით ეს სიტყვები ასიმილირდება *თინეიჯერთა* ენაში.

ცნობილია, რომ ამერიკული მასობრივი კულტურის გავლენა მსოფლიოში მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული სულ უფრო იზრდება. ძირითადი პროდუქტი ამ მხრივ ჰოლივუდის ფილმები და თანამედროვე ამერიკული პოპ-მუსიკა, უფრო კონკრეტულად კი ინგლისურენოვანი სიმღერებია. ფილმების თარგმნისას ბევრი სიტყვა ანგლიციზმის ფორმით რჩება, ან ხდება მათი კალკირება. ინგლისურენოვანი სიმღერები პოპულარულია ახალგაზრდებში, მათ ტექსტებს ხშირად ზეპირადაც სწავლობენ, ზოგჯერ ყველა სიტყვის მნიშვნელობის ცოდნის გარეშეც. თუმცა ეს მაინც საკმარისია იმისათვის, რომ ანგლიციზმები შემოვიდეს და უკვე შემოსული კი უფრო მეტად ინტეგრირდეს ახალგაზრდების მეტყველებაში.

უფრო მეტიც, დღეს ნებისმიერ საესტრადო მუსიკალურჯგუფს, რომელსაც საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის პრეტენზია გააჩნია, თავის რეპერტუარში აუცილებლად აქვს რამდენიმე ინგლისურენოვანი სიმღერა. ზოგიც მხოლოდ ინგლისურად მღერის, ვინაიდან ინგლისურად სიმღერა მოდაშია. გარდა ამისა, არსებობს ფინანსური

მოტივაციაც. საქართველო ხუთ მილიონზე ნაკლები მოსახლეობით ძალიან მცირე ზომის ბაზარია შოუ-ბიზნესისათვის, რამაც გარკვეულწილად განაპირობა ქართველი შემსრულებლების მიერ ინგლისურ, რუსულ და სხვა ფართოდ გავრცელებულ ენაზე სიმღერის აუცილებლობა.

როგორც უკვე აღინიშნა, ინგლისური სიტყვების სესხება და გავრცელება ხდება, ძირითადად, პრესისა და სხვა საინფორმაციო საშუალებებით. ჟურნალისტთა ენა მართლაც ძალზედ „ანგლიციზირებულია“. როგორც მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო უფრო ნაკლები ანგლიციზმია ავტორიტეტულ გაზეთებში, ვიდრე თინეიჯერულ გამოცემებში, თავად სიტყვა „*თინეიჯერიც*“ (“teenager”) ხომ ანგლიციზმია. ტელევიზია ეფექტურად ზემოქმედებს ენის განვითარებაზე. სავარაუდოდ, ქართველი მაყურებელი დღეში საშუალოდ 3 საათს უთმობს ტელევიზორს. ლექსიკურ სესხებაში ტელევიზიის როლი პირდაპირია ან ირიბი. *ანგლიციზმები დღესდღეობით ქართულ ენაში უფრო „იმიჯის“ შესაქმნელად გამოიყენება, ვიდრე ლექსიკური ხვრელების შესავსებად.* დასავლური სისტემების ცხოვრების სხვადასხვა სფეროს დანერგვასთან ერთად ბევრი ინგლისური სიტყვა ქართულში გადმოდის უთარგმნელად, შემდგომში კი ეს სიტყვები სწრაფად ვრცელდება. ეს ეხება რადიოს და პოპულარულ მუსიკასაც, რადიოსადგურები, რომელთა მიზნობრივი ასაკობრივი ჯგუფი 16-დან 22 წლამდე მერყეობს, ანგლიციზმების ინტენსიური მომხმარებლები არიან. რადიოსადგურებით გაჟღერებული სიმღერების უმეტესობა ინგლისურია. სატელევიზიო პროგრამებისა და საგაზეთო სტატიებისაგან განსხვავებით, სიმღერები მრავალჯერ ისმინება და პოპულარული სიმღერების ტექსტები ახალგაზრდებმა ხშირად ზეპირად იციან. კონკრეტული სიტყვები და ფრაზები სიმღერიდან შემდგომში გამოირჩევა და გამოიყენება დამოუკიდებლად სოციალურ კონტექსტში. უფრო მეტიც, ბოლო რამდენიმე წელიწადმა დაგვანახა რეპისა და ჰიპ-ჰოპის და, მათთან ერთად, ანგლიციზმების პოპულარობის ზრდა.

ლინგვისტებმა ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში დაიწყეს იმ მიზეზების კვლევა, თუ რატომ ხდება სიტყვების სესხება სხვა ენიდან. მაგრამ ამ მიზეზების გამოვლენა ხდებოდა არა საკმარისი არგუმენტაციით. კერძოდ, არ ხდებოდა მკვეთრი დიფერენცირება ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ გამომწვევ ფაქტორებს შორის. ზოგი მათგანი სესხების მთავარ მიზეზად მიიჩნევდა როგორც საგნების და ცნებების სახელ-

დების აუცილებლობას, ასევე განსხვავებულ სოციალურ, ფსიქოლოგიურ, ესთეტიკურ და ა.შ. სხვა მიზეზებსაც – იქნებოდა ეს ცნებათა გამიჯვნის აუცილებლობა, ექსპრესიულ საშუალებათა მრავალფეროვნება და მათისისავსე, სიმოკლე და გარკვეულობა და ა.შ. თვით ლექსიკური სესხების პროცესი განიხილებოდა წყარო და მსესხებელი ენობრივი საზოგადოების სოციო-კულტურული კავშირის კონტექსტში (Крысин 2005).

ამრიგად, ანგლიციზმების სესხების ძირითად ლინგვისტურ მიზეზებად შეიძლება მივიჩნიოთ შემდეგი ფაქტორები:

1. შესაფერისი ცნების საერთოდ არ ქონა ენა-რეციპიენტის კოგნიტურ ბაზაში. 21-ე საუკუნის საქმიანი ადამიანის ლექსიკონში მყარად დამკვიდრდა ისეთი ანგლიციზმები, როგორებიცაა „ბეჯი“ (“badge”), „ნოუტბუქი“ (“notebook”), „პეიჯერი“ (“pager”), „სკანერი“ (“scanner”) და სხვა.

2. ზუსტი შესაფერისი სახელწოდების არქონა ენა-რეციპიენტში. ასეთებია: „თოფ-მოდელი“ (“top model”), „ინვესტორი“ (“investor”), „დაიჯესტი“ (“digest”), „სპონსორი“ (“sponsor”), „ფრაის-ლისტი“ (“price-list”), „იმიჯი“ (“image”).

3. სტილისტური (ემფატიკური) ეფექტის უზრუნველყოფა. მაგალითად, განსხვავებული ეფექტი აქვს ძველ სიტყვას *სანახაობა* და ანგლიციზმს „შოუ“ (“show”).

4. პოზიტიური ან ნეგატიური კონოტაციების გამოხატვა, რომელიც არ გააჩნია ექვივალენტურ ერთეულს ენა-რეციპიენტში. ანგლიციზმი „დილერი“ (“dealer”) გაცილებით პოზიტიური კონოტაციის მქონე სიტყვაა, ვიდრე სიტყვა „გადამყიდველი“.

5. სხვადასხვა მიზნებისათვის ცნებათა სპეციალიზაციის აუცილებლობა ამა თუ იმ სფეროში. სპორტული სპეციალური ფეხსაცმლის ერთ-ერთი სახეობა „ბუცები“ (“boots”), უფრო კონკრეტულია, ვიდრე უბრალოდ „ფეხსაცმელი“.

§ 4. ენის სიწმინდე და მედიატორი ენების როლი

ქართული ენის „სიწმინდის დამცველები“ (მაგალითად, ლევან ღვინჯილია და სხვ.) ამტკიცებენ, რომ ლექსიკურად ისეთ მდიდარ ენაში, როგორც ქართულია, შეუძლებელია ნებისმიერი უცხოური სიტყვის შესატყვისი რაიმე ფორმა არ მოიძებნოს.

ანგლიციზმების ქართული ეკვივალენტის მოძებნა არ არის რთული საქმე, თუმცა საკითხავია რამდენად გამოიყენებს მას ხალხი.

ნებისმიერი ენა, თუ ის არ არის სრულიად იზოლირებული გარე სამყაროსაგან, მგრძნობიარეა ლექსიკური სესხების მიმართ. ჩვენ ვხედავთ ინგლისური სიტყვების რაოდენობის ზრდას ქართულში, მაგრამ გამორიცხულია, რომ ამ სიტყვებმა შეცვალონ ბალანსი და ენის ბუნება რაოდენ ინტენსიურიც არ უნდა იყოს ანგლიციზმების შემოსვლა. ახალი ნასესხები სიტყვები ენის ლექსიკონის მცირე ნაწილია და მათი უმეტესობა საფრთხეს არ წარმოადგენს, რადგან არ გააჩნიათ ლინგვისტური „ენერგია“ მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოსახდენად მშობლიური ენის ბირთვულ შედგენილობაზე.

ლექსიკური სესხება ყოველთვის გარკვეული აუცილებლობითაა გამოწვეული, თუმცა ამ პროცესს ყოველთვის წინააღმდეგობა ხვდება „ენის სიწმინდის“ დამცველთა მხრიდან. მიუხედავად ამისა, ყოველდღიურ მეტყველებაში ანგლიციზმები გამოიყენება ხშირია, თუმცა მათ მიმართ „არასტუმართმოყვარე“ დამოკიდებულების გამო, ისინი წერილობითი სახით ადვილად ვერ მკვიდრდებიან. ენის დამცველთა მიერ მთავარი აქცენტი კეთდება ქართული ენის საშუალებებით ნეოლოგიზმების ფორმირებაზე და არა ნასესხები სიტყვების ადაპტაციაზე, რომელიც თვითდინებაზეა მიშვებული. ეს იწვევს იმას, რომ ისინი ადაპტირდებიან ცალკეული ადამიანების შეხედულებებისამებრ, რაც თავის მხრივ ორმაგი ფორმების გაჩენის მიზეზი ხდება. უამრავი სიტყვა, რომელიც დღეს ჩვენ ჭეშმარიტად ქართულად მიგვაჩნია, ოდესღაც ნასესხები იყო. ასეთებია „*ფანჯარა*“, „*ოჯახი*“, „*მარვალი*“, „*ვედრო*“, „*უთო*“ და სხვა მრავალი. ეს სიტყვები საქართველოს მეზობელი ქვეყნების ენებშიც გამოიყენება. რუსული ენიდან ნასესხებ „*ვედრო*“-ს გააჩნია ქართული შესატყვისები „*ჩამჩა*“ ან „*ხაპია*“, მაგრამ მათ დღეს არავინ იყენებს და, უფრო მეტიც, ამ სიტყვების მნიშვნელობა ცოტა ვინმემ თუ იცის. სამაგიეროდ ქართულ ფუძეზე ნაწარმოებმა სიტყვამ „*თვითმფრინავი*“ წარმატებით შეცვალა რუსული ენიდან შემოსული „*აეროპლანი*“. ენა მოქნილი სუბსტანციაა და მისი ევოლუცია, რომელიც ასევე მოიცავს უცხოური ტერმინების ასიმილაციას, კანონზომიერია. ანგლიციზმების გამოყენება არ არის გამართლებული მაშინ, როდესაც ისინი ადვილად შეიძლება შეიცვალოს ქართულით. ისიც უნდა

გვახსოვდეს, რომ ენაში ახალი სიტყვების გამოჩენა გარდაუვალი პროცესია. მუდმივად ჩნდება რაღაც ახალი და ხშირად ძნელია მოიფიქრო, როგორ უნდა გადმოიცეს ესა თუ ის ცნება, მოვლენა, ნივთის სახელი ქართულ ენაზე და ამის შედეგად ჩნდება „ჰოლდინგები“, „როუმინგები“, „სამიტები“ და ა.შ.

ბევრი ახალი ცნების აღმნიშვნელი სიტყვა მთარგმნელთა მიერ ინგლისურადვე ტრანსლიტერირდება, რადგან ეს ცნება ქართულში ახალია, ხოლო მისი თარგმნა რომელიმე მსგავსი მნიშვნელობის პოლისემანტური ქართული სიტყვით მიზანშეწონილი არ არის, რადგან ნათარგმნი სიტყვის მნიშვნელობა მოკლებულია იმ კონკრეტულობას, რაც გააჩნია ეტიმონს ანუ უცხოურ სიტყვას. როცა ერთი მთარგმნელი ახალი ცნების აღსანიშნად ანგლიციზმის ნაცვლად ქართულ სიტყვას იყენებს, დიდი შანსია, რომ იგივე ცნების აღსანიშნად სხვა მთარგმნელმა სხვა სიტყვა გამოიყენოს, რის გამოც არც ერთი და არც მეორე არ იქნება საყოველთაოდ მიღებული სიტყვა, რაც დაბნეულობას გამოიწვევს. კარგი იქნებოდა, შექმნილიყო პროფესიულ მთარგმნელთა დალინგვისტთა ერთობლივი ასოციაცია, რომელიც რეკომენდაციებს შეიმუშავებდა ახლადშემოსული ცნებების და შესაბამისი ნეოლოგიზმების ადაპტაციის პროცესში საყოველთაოდ მისაღები სტანდარტების დამკვიდრებისათვის.

რამდენიმე ქვეყანამ, მათ შორის საფრანგეთმა, სცადა ცენზურის დაწესება ანგლიციზმების შემოსვლაზე მათ სახელმწიფო ენებში. ზოგმა საერთოდ უარი თქვა რაიმე ინგლისური სიტყვის მიღებაზე და ისეთ სიტყვასაც კი თარგმნიან, როგორცაა “computer”. მაგრამ ენა, როგორც ლექსიკოგრაფები ყოველთვის აღნიშნავდნენ, არც საზღვრებს სცნობს და არც კანონებს. სახელმწიფოს შეუძლია მიიღოს კანონი, რომელიც აკრძალავს უცხოური სიტყვების გამოყენებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში იმ შემთხვევაში, თუ ამ უცხოური სიტყვების ეკვივალენტები არის ქართულში ისე, როგორც ეს გააკეთა საფრანგეთმა ფრანგული ენის დასაცავად. თუმცა ხშირ შემთხვევაში თავად სახელმწიფო მოღვაწეები არიან ანგლიციზმების შემომტანი ქართულში. მეორეს მხრივ, ასეთი აკრძალვა ადამიანის სიტყვის თავისუფლების შელახვად აღიქმება.

ინტერნაციონალიზმები. მეოცე საუკუნეში ქართული ენა სიტყვებს ძირითადად ევროპული ენებიდან სესხულობდა. იგი შეივსო მრავალი საერთაშორისო სიტყვით, ანუ ინტერნაციონალიზმით. ასეთი სიტყვების უმეტესობა ბერძნულ-ლათინურისგან არის

ნაწარმოები და გადმოსცემენ მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების და სხვა ცნებებს. ტერმინი ანგლიციზმი არ მოიცავს ინტერნაციონალიზმებს. ზოგჯერ შესაძლოა ინტერ-ნაციონალიზმის წყარო ინგლისური ენა იყოს, მაგრამ კატეგორიულად იმის მტკიცება, რომ ისინი ინგლისური წარმოშობისაა არ შეიძლება. სავარაუდოა, რომ ანგლიციზმების ნაწილი მომავალში საერთაშორისო ლექსიკად იქცევა. დღეს უკვე ბევრი ანგლიციზმი ინტერნაციონალიზმია, თუმცა ჯერჯერობით ძნელია ზღვარის გავლება ანგლიციზმებსა და უკვე ინტერნაციონალიზმებად ქცეულ ინგლისურ სიტყვას შორის. უნდა ვივარაუდოთ, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას ამასთან დაკავშირებით დრო მიიღებს.

რუსული, როგორც მედიატორი ენა. დღესდღეობით სესხება უმეტესად პირდაპირ ინგლისურიდან წერილობითი, ზეპირი ან ელექტრონული წყაროებიდან ხდება (ანგლიციზმების ჩათვლით). საკომუნიკაციო საშუალებების განვითარებამდე კი სიტყვების სესხების მარშრუტი არაპირდაპირი იყო: სესხება ექსკლუზიურად წერილობით წყაროებზე იყო დამოკიდებული და ხდებოდა იმ ენის გავლით, რომელიც გაბატონებული და პრესტიჟული იყო საზოგადოებაში. ქართული ენისთვის მრავალი ათწლეულის მანძილზე ასეთ მედიატორ ენად რუსული იყო მიჩნეული, რამაც გარკვეული კვალი ისე ძლიერ დააჩნია ანგლიციზმების მართლწერას, წარმოთქმას, მორფოლოგიასა და მნიშვნელობას, რომ ინგლისური ნიშანი ხშირად გამჭრალია მათ ფორმაში (მაგალითად, „ბივშტექსი“, „ბლოკნოტი“, „კექსი“, „კრიზისი“, „ხულიგანი“). რუსული ენის გავლით შემოსულ სიტყვებში, შეიმჩნევა რუსულ ფონოლოგიურ სისტემასთან ადაპტაცია:

“Revolution”	“Революция”	„რევოლუცია“	არა	„რევოლუშენი“
“Situation”	“Ситуация”	„სიტუაცია“	არა	„სიტუეიშენი“
“Arrangement”	“Аранжировка”	„არანჟირება“	არა	„ერეინჯმენტი“
“Shampoo”	“Шампунь”	„შამპუნი“	არა	„შამპუ“

დღესდღეობით სუფიქსი-**ც**ქართულში მყარადაა დამკვიდრებული და ზოგჯერ ის პროდუქტიულიც არის. ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა „**ბარიკადა**“, „**კაბინა**“ დაბოლოვება –**ა** მიღებული აქვს რუსულიდან. რუსული სახეცვლილებით არის, ასევე შემოსული სიტყვები „**იმპორტიორი**“, „**რეპორტიორი**“ და მისთ. (შდრ. ინგლ. “**importer**”, “**reporter**”).

რუსულის, როგორც შუამავალი ენის გავლენა დღესაც შეიმჩნევა. არის შემთხვევები, როცა ახალი ცნების დამკვიდრებისას ანგლიციზმის შემოტანა ეტიმონის ფორმით არ ხდება და ვერც მსესხებელ ენაში არსებული საშუალებებით ხერხდება მისი გადმოცემა ერთი ან თუნდაც რამდენიმე სიტყვით. ამ დროს პიროვნება, რომელიც შესაძლოა არც იყოს პროფესიონალი მთარგმნელი, როგორც წესი, რუსულ ენას იშველიებს. ამ შემთხვევაში იგი მოიძიებს, როგორ ადაპტირდა საჭირო სიტყვა რუსულში. ასე მოხდა ახალი ცნების “Feedback”-ის შემთხვევაშიც. ქართულში ამ ცნების გამოსახატავად დღეს იყენებენ სიტყვას *უკუკავშირი*, რაც აშკარაა, რომ რუსულში დამკვიდრებული “*обратная связь*”-ის კალკია, და არა “Feedback”-ის. ასეთი მაგალითები ააშკარავებს, რაოდენ დიდია დღესაც რუსული ენის გავლენა ქართულზე.

მიუხედავად იმისა, რომ მეფის რუსეთის ბატონობის დროს ქართულ ენაში ბევრი ნეოლოგიზმი რუსული ენის გავლით შემოდიოდა, მეოცე საუკუნის დასაწყისში ბევრი სიტყვა უშუალოდ ევროპული ენებიდან შემოვიდა. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ქართულ ენაში შემოსულ რუსიზმებს დღეს უკვე დევნის ანგლიციზმები. მაგალითად, კრივის ერთ-ერთ მთავარ სავარჯიშო ინვენტარს „*გრუმს*“ უწოდებდნენ. დღეს კი ეს სლენგი, თუმცა არა სრულად, „*პანჩინგბოლმა*“ ჩაანაცვლა.

გვარების ადაპტაცია. ხშირად პრობლემას წარმოადგენს ინგლისური გვარსახელების ქართულად წარმოთქმა. აქ ორი ვარიანტია – გვარი წარმოითქმის ინგლისურ წარმოთქმასთან ან მის წერილობით ფორმასთან მიახლოვებულად. არ არსებობს ერთიანი სტანდარტი, რასაც მივყავართ ერთი გვარის წარმოთქმის რამდენიმე ვარიანტის გაჩენასთან. მაგალითად, ინგლისური გვარი „Besinger“ შესაძლოა წარმოთქმულ იქნეს როგორც ბესინჯერი ან ბესინგერი, „Butler“ – „ბატლერი“ ან „ბუტლერი“.

საყურადღებოა ქართული გვარ-სახელების წარმოთქმის და მართლწერის პრობლემაც, როცა მათი ინგლისურად გაფორმების საჭიროება დგება საერთაშორისო პასპორტსა და სხვა დოკუმენტებში. მაგალითად, „ღ“ ასოს შემცველ გვარში, ეს ასო შესაძლოა გადმოიცეს როგორც „gh“ (Ghonghadze) ან გ' (G'ong'adze), რაც გარკვეულ პრობლემებს ქმნის პიროვნების იდენტიფიცირებისას, მაგალითად, ფულადი გადარიცხვების დროს ან სხვა სახის სერთაშორისო მომსახურებისას. ქართული გვარები განსხვავებულად იწერება ევროპული ენების უმეტესობაში, რომლებიც ლათინურ

ანბანს იყენებს. საჭი-როა, პიროვნებამ ყურადღება მიაქციოს და ეცადოს, რომ მისი სახელი და გვარი ლათინური ანბანით ოფიციალურ დოკუმენტებში ყოველთვის ერთი ფორმით იყოს წარმოდგენილი. ასეთი პრობლემური ასოებია ქართულში: წ, ჭ, ჩ, ღ, ყ, ხ. ინგლისურში კი ესენია ძირითადად ხმოვნები და ის თანხმოვანი ასოები, რომელთაც სხვადასხვა პოზიციაში წარმოთქმის განსხვავებული ვარიანტი გააჩნიათ.

§ 5. ენობრივი სესხების ფორმები

ბოლო 25 წლის მანძილზე შემოსული ინგლისური სიტყვების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ბევრი ევროპული ენის მგავსად, თანამედროვე ქართულშიც იკვეთება ანგლიციზმების შემოდინების სამი მთავარი გზა (Davitishvili 2018):

1. ლექსიკური, ანუ პირდაპირი სესხება, როდესაც ინგლისური სიტყვის შემოტანა ხდება მისი ფორმის და მნიშვნელობის (ან მნიშვნელობის ნაწილის) შენარჩუნებით;
2. ტრანსლიტერაცია, ანუ ირიბი სესხება, როდესაც ხდება ქართული ლექსიკური ერთეულის, ძირითადად, სიტყვათშეთანხმების ფორმირება ინგლისური ეტიმონის სტრუქტურისა და მნიშვნელობის ანალოგიით;
3. სემანტიკური სესხება, როდესაც ინგლისური ეტიმონის ნასესხები მნიშვნელობის გავლენით ხდება შესაბამისი ქართული სიტყვის მნიშვნელობის და მისი სემანტიკური სტრუქტურის გაფართოება.

ლექსიკური, ანუ პირდაპირი ნასესხები ანგლიციზმები

ანგლიციზმების ანალიზმა წარმოაჩინა პირდაპირი ნასესხები ინგლისური სიტყვების ორი ძირითადი ჯგუფი ქართულ ენაში:

1. არაადაპტირებული ნასესხები სიტყვები, რომლებიც ინარჩუნებენ ინგლისურ წარმოთქმას და ფორმას. ანგლიციზმების ეს ჯგუფი მოიცავს ტერმინოლოგიურ ლექსიკას; უმთავრესად, სიტყვათშეთანხმებებს, რომლებიც აღნიშნავენ მეცნიერებისა და ტექნიკის, პოლიტიკის, ბიზნესის, ხელოვნების, მასმედიის და ა.შ. საგნებსა და ცნებებს. მაგალითად: „*ეგზიტ-პოლი*“ (“*exit poll*”); „*ბები-სიტერი*“ (“*baby-sitter*”);

„კონსალტინგი“ (“*consul-ting*”); „ვაბი“ (“*pub*”); „ისტებლიშმენტი“ (“*establishment*”); „ოფის-მენეჯერი“ (“*office manager*”); „დაი-ჯესტი“ (“*digest*”); „ბილბორდი“ (“*billboard*”); „მასმედია“ (“*mass-media*”), etc.

2. ნასესხები აკრონიმები, როდესაც ინგლისურ ეტიმონებს ქართულში კვლავ შენარჩუნებული აქვს მსგავსი წარმოთქმა და ფორმა. მაგალითად: „ნატო“ (“*NATO*”), „იუნესკო“ (“*UNESCO*”), „უნისეფი“ (“*UNISEF*”), „ესემესი“ (“*SMS*”), „იკაო“ (“*ICAO*”), „ბისეკი“ (“*BSEC*”), „პიარი“ (“*PR*”), „დიჯეი“ (“*DJ*”), „ოპეკი“ (“*OPEC*”), „მაპი“ (“*MAP*”), „ბიბისი“ (“*BBC*”), „სიენენი“ (“*CNN*”), „ნასა“ (“*NASA*”), „ლაზერი“ (“*LAZER*”), etc.

3. სრულად ინტეგრირებული სიტყვები. ამ კატეგორიაში შედიან ადრეულ ეტაპზე ნასესხები სიტყვები, რომლებიც ფონეტიკურად და მორფოლოგიურად იმდენად შეერწყნენ ქართულ ენას, რომ ამჟამად ძნელიც კი არის მათი, როგორც ინგლისური ნასესხები სიტყვების, იდენტიფიცირება. მაგალითად, სიტყვა “ტიტული”, რომლის ინგლისური ეტიმონია – “*title*”, იმდენად ინტეგრირდა ქართულში სიტყვა-წარმოებითი სუფიქსების საშუალებით, რომ დამოუკიდებელი ლექსიკურ-სემანტიკური ოჯახი შექმნა: ტიტული, ტიტულოვანი, სატიტულო. ანალოგიურად არის შერწყმული ქართულთან ინგლისური სიტყვა „*irony*“, რომელსაც ასევე აქვს განვითარებული დერივაციული ფორმები: „*ირონია*“, „*ირონიული*“, „*ირონიულად*“, „*ირონიზირება*“, etc.

ტრანსლიტერაციული, ანუ ირიბად ნასესხები ანგლიციზმები

ამ ტიპის ანგლიციზმები წარმოდგენილია ქართული სიტყვათშეთანხმებებით, რომლებიც შექმნილია მათი ინგლისური ეტიმონების ანალოგიურად თარგმნის, ანუ კალკირების გზით. ბევრი მკვლევარი, უმეტესად ენის სიწმინდის დამცველები, ინგლისური სიტყვების და ფრაზების სესხებისას, უპირატესობას სწორედ მათთარგმნას ანიჭებს მიმღებ ენაში მათ პირდაპირ გადმოტანასთან შედარებით.

ზოგადად, კალკირებული ჩანაცვლებები შესაძლოა დაჯგუფდეს ეტიმონთან მორ-ფოლოგიური და სემანტიკური ექვივალენტურობისა და ქართულთან მათი ადაპტირების ხარისხის მიხედვით. ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით ჩვენ გამოვყავით ინგლისურიდან კალკირებული სიტყვათშეთანხმებების შემდეგი ტიპები:

ა) კალკირებული ანგლიციზმები, რაც გულისხმობს მათი ინგლისური ეტიმონის სრულ თარგმნას. მაგალითად:

„Human rights“ – „ადამიანის უფლებები“

„First lady“ – „პირველი ლედი“

„Cold War“ – „ცივი ომი“

„Iron Curtain“ – „რკინის ფარდა“

„Blood bank“ – „სისხლის ბანკი“

„microwave“ – „მიკროტალღური“

„handball“ – „ხელბურთი“

„trademark“ – „სავაჭრო ნიშანი“

ბ) ნახევრად კალკირებული ანგლიციზმები, რაც გულისხმობს ინგლისური ეტიმონის ნაწილობრივ თარგმნა-პარაფრაზირებას მისი მნიშვნელობის შენარჩუნებით მიზნით. ამ ტიპის ანგლიციზმებია:

„skyscraper“ – „ცათამბჯენი“;

„bodyguard“ – „პირადი მცველი“;

„airmail“ – „ავიაფოსტა“

გ) შერეული ტიპის ნასესხები კომპოზიტები, რომლებიც წარმოდგენილია ორივე ენის ელემენტების შერწყმის შედეგად შექმნილი ჰიბრიდული სიტყვებით ან სიტყვათშეთანხმებებით:

„Website „ – „ვებგვერდი“

„SMS Secretary“ – „ესემეს მდივანი“

„SIM-card“ – „სიმ-ბარათი“

„Net Newspaper“ – „ნეტგაზეთი“

„autoresponder“ – „ავტომოპასუხე“

4. დუბლირებული ანგლიციზმები, როდესაც ინგლისური სიტყვა ნასესხებია ქართული ენის მიერ ორი ფორმით – ა) პირდაპირი, კალკირებული გადმოტანით, რა დროსაც ანგლიციზმს შენარჩუნებული აქვს ეტიმონის წარმოთქმა და მნიშვნელობა, და ბ) ირიბად – ტრანსლიტერაციის, ანუ თარგმნის გზით. შედარებისათვის იხილეთ:

- “Public relations” – ა) “ფაბლიქ რილეიშენზი”
 ბ) “საზოგადოებასთან ურთიერთობა”
- “fast food” – ა) “ფასტ ფუდი”
 ბ) „სწრაფი კვების ობიექტი“
- “babysitter” – ა) „ბებიისიტერი“
 ბ) „ბავშვის მომვლელი“
- “second hand” – ა) „სეკონდჰენდი“
 ბ) „მეორადი საქონელი“
- “mass media” – ა) „მასმედია“
 ბ) „მასობრივი ინფორმაციის საშუალებები“

ბოლო ხანს ოფიციალურ ქართულ მეტყველებაში გავრცელდა ფრაზა „ მე ამაყი ვარ“, კონტექსტში „მე ამაყი ვარ იმით, რომ ჩემი ხალხი ბრძენია“. ვფიქრობთ, იგი ინგლისური კალკია (“I’m proud that”). ქართულში მსგავსი განწყობის გამოსახატავად ყოველთვის გამოიყენებოდა სიტყვა „მეამაყება“ ან „ მე ვამაყობ იმით, რომ ...“. რთული სათქმელია, რამდენად სიცოცხლის უნარიანი აღმოჩნდება ინგლისური ვარიანტი. თუმცა, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ისეთი უპირატესობები, როგორცაა სიმოკლე (ფანი-გულშემატკივარი). მსოფლიოს მასშტაბით გავრცელება (მაუსი - თაგვი) და სხვა, რაც ანგლიციზმებს გააჩნიათ ქართულ სიტყვებთან დაპირისპირების დროს, ხსენებულ ფრაზას „მე ამაყი ვარ ...“ სხვადასხვა პირში და სხვადასხვა დროში მოცემულს არ გააჩნია. ვარიანტები „მეამაყება“ ან „ვამაყობ“ წარმატებით ართმევს თავს დაკისრებულ ფუნქციას. ნათლად იგრძნობა, რომ ფრაზა „მე ამაყი ვარ, რომ ..“ იმ სოციალური წრის წარმომადგენელთა შემოტანილია, ვინც უცხოეთში სწავლობდა ან რაიმე კავშირი ჰქონია ინგლისურ (ძირითადად ამერიკულ) სახელმძღვანელოებთან. ზოგადად, ეს სოციალური წრე, ანგლიციზმების ერთ-ერთი აქტიური შემომტანია ქართულში.

სემანტიკური სესხება

როდესაც ინგლისური სიტყვა შემოდის ენაში, ჩვეულებრივად ხდება მისი ერთი ან ორი მნიშვნელობის სესხება. ლინგვისტები ხშირად გამოიყენებენ ტერმინს ნასესხები

მნიშვნელობა იმ ცნების აღსანიშნავად, რომლის საშუალებითაც ხდება მიმღები ენის სიტყვის მნიშვნელობის გაფართოვება. სემანტიკური სესხების მაგალითს წარმოადგენს ქართულში ლექსემის -*თაგვი*-ის მნიშვნელობა, რომლითაც ის გამოიყენება კომპიუტერთან მიმართებაში. ინგლისური ეტიმონის (“mouse”) კომპიუტერულ მეცნიერებაში შექმნილი ახალი მნიშვნელობა – “პატარა, ხელით სამოძრაო მისაერთებელი ხელსაწყო, რომელიც გამოიყენება კურსორის სამოძრაოდ კომპიუტერის ეკრანზე” –გადმოიტანეს ქართულში, რის შედეგადაც მისი მნიშვნელობა გაფართოვდა და შეივსო ახალი ცნებით –*„კომპიუტერის თაგვი“*. იგივე შეიძლება ითქვას ქართულ სიტყვაზე *„მეხსიერება“*, რომელმაც ასევე შეიძინა ახალი, ტექნიკური მნიშვნელობა კომპიუტერთან მიმართებაში. ანალოგიურად მოხდა, ერთ დროს ფრანგულიდან ნასესხები სიტყვის - *„მენიუ“* -სემანტიკური სტრუქტურის გაფართოვება ინგლისურიდან ნასესხები კომპიუტერულ სფეროში გამოყენებული ახალი მნიშვნელობით. ამ და სხვა სიტყვების სწორედ ამგვარი, ახალი დამატებითი მნიშვნელობები წარმოადგენენ სემანტიკური სესხების კლასიკურ მაგალითებს.

ზოგჯერ, სემანტიკური სესხება ძველი ქართული წარმოშობის სიტყვას ახალ სიცოცხლეს აძლევს მაშინ, როდესაც ის გამოიყენება კომბინაციაში ინგლისურ სიტყვასთან, რომელიც რაიმე თანამედროვე ცნებას აღნიშნავს. ამის მაგალითია ნასესხები სემანტიკური ჰიბრიდი – *“ჰიტ პარადი”* (“hit parade”), რომელიც მუსიკის ტერმინოლოგიურ ლექსიკას ეკუთვნის. მასში, ინგლისური ეტიმონის ნასესხები მნიშვნელობა დაემატა ქართულ სიტყვას, რის შედეგადაც მისი სემანტიკური სტრუქტურა გაიზარდა ახალი, აქტუალური მნიშვნელობით.

თავი II

ანგლიციზმების ადაპტაციის თავისებურებები თანამედროვე ქართულ ენაში

§1. ანგლიციზმების ქართულთან ადაპტაციის დონეები

თითქმის აქსიომას წარმოადგენს თეზისი იმის შესახებ, რომ “როდესაც ქვეყანა სესხულობს ენას, ის მას ითავისებს სხვადასხვანაირად (Crystal 2003: 16).” სხვა სიტყვებით, როდესაც ხდება ინგლისური სიტყვის პირდაპირი გადმოტანა სხვა ენაში, ის განიცდის ორთოგრაფიულ, ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ და სემანტიკურ გარკვეულ ცვლილებებს, სანამ მოხდება მისი ინტეგრირება მსესხებელ ენაში. ემპირიული მასალის ანალიზმაშესაძლებლობა მოგვცა დაგვესვენა, რომ ინგლისური სიტყვების ინტეგრირება ქართულ ენაშიც ხდება ოთხ დონეზე. ეს დონეებია:

- ა) ორთოგრაფიული დონე, რომელიც წარმოაჩენს, თუ როგორც ხდება ადაპტირება ინგლისური ეტიმონის მართლწერა ქართული ენის ორთოგრაფიასთან;
- ბ) ფონოლოგიური დონე, რომელიც წარმოაჩენს ანგლიციზმის წარმოთქმის ადაპტირებას ქართულ ენასთან;
- გ) მორფოლოგიური დონე, რომელიც გვიჩვენებს, რა მორფოლოგიურ ცვლილებებს განიცდის ანგლიციზმი ქართულ ენაში ადაპტირებისას;
- დ) სემანტიკური დონე, რომელიც წარმოაჩენს ინგლისური ეტიმონის რომელი მნიშვნელობა გადმოვიდა შესაბამის ანგლიციზმში.

1.1 ორთოგრაფიული დონე

ინგლისური ეტიმონის ანგლიციზმად ადაპტაციის პროცესში ორთოგრაფიული დონე ერთ-ერთი ასპექტია. კვლევამ გვიჩვენა, რომ ქართულში იკვეთება ანგლიციზმების ორთოგრაფიული ადაპტაციის ოთხი ვარიანტი:

1. ანგლიციზმები, რომელთა მართლწერაც ემთხვევა მათი ინგლისური ეტიმო-
ნების წარმოთქმას (e.g.: “ბუმი” < “boom”; “ბარმენი” < “barman”; “რაგბი” <
“rugby”; “იმიჯი” < “image” etc.);
2. ანგლიციზმის მართლწერა მთლიანად ემთხვევა ინგლისური ეტიმონის მარ-
თლწერას (e.g.: “ბარდი” < “bard”; “განგსტერი” < “gangster”; “მონიტორი” <
“monitor”; “ინტერნეტი” < “Internet” etc.);
3. ანგლიციზმის მართლწერა ნაწილობრივ ემთხვევა ინგლისური ეტიმონის
წარმოთქმას და მართლწერას ენაში (e.g.: “ოვერთაიმი” < :overtime”; “სპიდო-
მეტრი” < “speedometer”; “მატჩპოინტი” < “match point”, etc.);
4. ანგლიციზმის მართლწერა განიცდის იმ მედიატორი ენის (უმთავრესად,
რუ-სულის) გავლენას, რომლის გავლითაც ის ქართულში შემოვიდა (e.g.:
“ჯიური” < “jury”; “ბიუჯეტი” < “budget”; “პარტნიორი” < “partner”, etc.).

ახლადშემოსულ ანგლიციზმებს ახასიათებთ ორთოგრაფიის და შესაბამისად წარ-
მოთქმის ვარიაციულობა, მაგალითად, “ჩატი” – “ჩეთი”; “ტოპ-მოდელი” – “თოფ-
მოდელი”. ეს კი ამ ანგლიციზმების ასიმილაციის პირველ საფეხურზე ყოფნას მოწმობს.
სრული ასიმილაცია კი მესამე საფეხურია. თუმცა მართლწერის ვარიაციულობა
შესაძლოა იყოს დამწერის უწიგნურობის შედეგიც (Herring 1996: 121).

1.2 ფონოლოგიური დონე

ემპირიული მასალის ანალიზმა წარმოაჩინა, რომ ანგლიციზმების წარმოთქმა
ყალიბდება ინგლისურის და ქართული ენის ფონოლოგიური სისტემების მსგავსება-
განსხვავების საფუძველზე. შესაბამისად გამოვყოფთ ანგლიციზმების ფონოლოგიური
ადაპტაციის სამ ტიპს. ესენია:

1. **ნულოვანი ტრანსფონემიზაცია**, როდესაც ანგლიციზმის წარმოთქმა ძალიან
უახლოვდება ინგლისური ეტიმონის წარმოთქმას იმის გამო, რომ ორივე
ენაში მოიპოვება მსგავსი ბგერები. მაგალითად: “zoom” – “ზუმი”; “deadline” –
“დედლაინი”; “leader” – “ლიდერი”.
2. **ნაწილობრივი ანკომპრომისული ტრანსფონემიზაცია**, როდესაც
ანგლიციზმის წარმოთქმა მხოლოდ ნაწილობრივ ემთხვევა მისი ეტიმონის

წარმოთქმას იმის გამო, რომ ზოგი ელემენტი ფონოლოგიურად განსხვავდება მათში. მაგალითად: “television” – “ტელევიზია”; “company” – “კომპანია”; “sport” – “სპორტი”.

3. **თავისუფალი ტრანსფონემიზაცია**, როდესაც ანგლიციზმში ხდება თავისუფალი ჩანაცვლება იმ ინგლისური ბგერების, რომლებსაც არ მოეპოვებათ ექვივალენტი ქართულ ფონეტიკურ სისტემაში. სრულ ტრანსფონემიზაციას განიცდიან, ძირითადად, ის ინგლისური ეტიმონები, რომელთა წარმოთქმაშიც ფიგურირებს ბგერები [w] და [f]. მაგალითად: „weekend“ – „უიკენდი“; „flirt“ – ფლირტი“; „forward“ – „ფორვარდი“.

1.3 მორფოლოგიური დონე

მორფოლოგიურ ადაპტაციასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ჩვენს მიერ განხორციელებულმა ანალიზმა წარმოაჩინა, რომ ქართულ ენაში შემოსული ანგლიციზმების უმრავლესობას (დაახლოებით 80%) არსებითი სახელები წარმოადგენს. ჩვენი აზრით, ეს შეიძლება აიხსნას იმით, ერთი მხრივ, არსებითი სახელი ზოგადად ორივე ენაში ყველაზე გავრცელებული მეტყველების ნაწილია. მეორე მხრივ კი, ჩვენ საგნების და მოვლენების სახელდება უფრო ხშირად გვჭირდება, ვიდრე მოქმედების ან თვისების. ბუნებრივია, რომ ანგლიციზმებში გვხვდება ასევე ზმნები და ზედსართავი სახელები, დაახლოებით 3%. სულ რამდენიმე ნიმუშითაა წარმოდგენილი შორისდებულები, ისეთები როგორცაა, მაგალითად, „yes“ – „იეს“ ან „wow“ – „ვაუ“.

ფონოლოგიურის ანალოგიით, გამოვყოფთ ანგლიციზმების მორფოლოგიური ადაპტაციის სამ ძირითად ვარიანტს. ესენია:

1. **ნულოვანი ტრანსმორფემიზაცია**, როდესაც ციტირებულ ანგლიციზმს იგივე ფორმა აქვს, როგორც ინგლისურ ეტიმონს, რის გამოც ეტიმონზე მიძღები ენის არანაირი სუფიქსური მორფემის დამატება არ ხდება. მაგალითად: „bluff“ – „ბლეფი“; „test“ – „ტესტი“; „start“ – „სტარტი“ და სხვ.;
2. **კომპრომისული ტრანსმორფემიზაცია**, როდესაც ანგლიციზმი ინარჩუნებს ინგლისური ეტიმონის სუფიქსურ ფლექსიას ზოგ მორფოლოგიურ ფორმაში, მაშინ როდესაც იგივე სიტყვა ოპოზიციურ ფორმაში იმატებს ქართულ

დაბოლოებას. მაგალითად, არსებითი სახელებით წარმოდგენილი ანგლიციზმების უმეტესობა ინარჩუნებს ინგლისურ დაბოლოებას *-er* მხოლოდით რიცხვში, მათი მრავლობითი რიცხვის ფორმა კი იქმნება ქართული სუფიქსური ფლექსიის *-ები* დამატებით, რომელიც ჩაანაცვლებს მრავლობითობის ინგლისურ მარკერს *-s* შედარებისათვის იხილეთ: მაგალითად: "speaker /speakers" – „სპიკერი/ სპიკერები“; „tester/ testers“ – „ტესტერი/ ტესტერები“; „scanner/scanners“ – „სკანერი/ სკანერები“ და სხვ.. არის შემთხვევები, როდესაც ზედსართავი სახელით წარმოდგენილი ანგლიციზმი ინარჩუნებს მისი ეტი-მონის სუფიქსს და ამავდროულად იმატებს ქართულ სუფიქსსაც *-ელი/-ული*, რომელიც თავისი სემანტიკით სინონიმურია ზედსართავის მაწარ-მოებელ ინგლისურ სუფიქსთან. მაგალითად: „ვეგეტარიანელი“ < „vegetarian“; „ექსტრავაგანტული“ < „extravagant“, etc.

3. **სრული ტრანსმორფემაზაცია**, როდესაც ინგლისური ეტიმონის სუფიქსი შეიძლება შეიცვალოს იგივე მნიშვნელობის და ფუნქციის მქონე ქართული სუფიქსით. მაგალითად, ზედსართავი სახელის მაწარმოებელი ინგლისური სუფიქსი – *-ic* ხშირად იცვლება ანალოგიური ფუნქციურ-სემანტიკური დანიშნულების მქონე ალმორფებით *-ელი /-ული /-ური*. მაგალითად: „სარკასტული“ < „sarcastic“; „ირონიული“ < „ironic“; „ანალიზური“ < „analytic“; „ფანტასტიური“ < „fantastic“, etc..

ზმნებისა და ზედსართავი სახელების ადაპტაცია ექვემდებარება მიმღები ენის სიტყვათწარმოების წესებს. მაგალითად, ზმნები: „boycott – „ბოიკოტირება“; „test“ – „ტესტირება“; ზედსართავი სახელები: „starting“ (line) – „სასტარტო“; „sports“ – „სპორტული“.

არის შემთხვევები, როდესაც ანგლიციზმი ეტიმონის სუფიქსს ინარჩუნებს და ამასთან მიმღები ენის სუფიქსსაც იმატებს. მაგალითად: „vegetarian“ – „ვეგეტარიანელი“; „extravagant“ – „ექსტრავაგანტული“.

შეიძლება ითქვას, რომ პირდაპირ ნასესხები ანგლიციზმების ძირითადი მასა წარმოდგენილია არსებითი სახელებით, რამდენადაც ხალხი სხვა ენიდან სესხულობს ძირითადად ახალ ცნებებს და საგნებს მათი დასახელებებით, რომლებიც, ქართულთან

ადაპტაციის შედეგად, იმატებენ სახელობითი ბრუნვის ფლექსიას –ი, რაც ქართულ ენაში მათი ინტეგრირების უნივერსალურ მარკერს წარმოადგენს. რაც შეეხება ზმნურ და ადიექტურ ანგლიციზმებს, ისინიც იქმნება ქართული ენის სიტყვათწარმოებითი წესების თანახმად. შესაბამისად, ზმნები იქმნება ქართული სუფიქსების *-რება (-რება) /-რობა (-რობა)* გამოყენებით. მაგალითად: „ბოიკოტირება“ <“*boycott*“; „ინვესტირება“ <<“*to invest*“; „ადაპტირება“ <“*to adapt*“; „ტესტირება“ <“*to test*“; etc. ხოლო ზედსართავების მოდელირება ხდება ქართული სუფიქსების და ერთდროულად პრეფიქსის და სუფიქსის დამატების შედეგად (e.g.: „კლასიკური“ <“*classic*“; „დინამიური“ <“*dynamic*“; „აქტიური“ <“*active*“; „სასკოლო ავტობუსი“ <“*school bus*“; „საგაზეთო სტატია“ <“*newspaper article*“, etc.).

1.4 სემანტიკური დონე

სემანტიკურ დონეზე ხდება იმის განსაზღვრა, ინგლისური ეტიმონის რომელი მნიშვნელობა გადმოვიდა შესაბამის ანგლიციზმში. ამის გათვალისწინებით, მოვახდინეთ ანგლიციზმების დიფერენცირება ორ დიდ ჯგუფად:

1. პირველში შედის ის სიტყვები, რომელთაც გააჩნია მხოლოდ ერთი მნიშვნელობა ინგლისურ ენაში და შესაბამისად, ქართულშიც იგივე მნიშვნელობით მკვიდრდებიან;
2. მეორე ჯგუფი კი შედგება იმ ანგლიციზმებისგან, რომელთა მნიშვნელობაც ადაპტირდა იმ ინგლისური ეტიმონებისაგან, რომელთაც გააჩნიათ ერთზე მეტი მნიშვნელობა.

ანგლიციზმის მნიშვნელობები შესაძლოა შემცირდეს ან გაიზარდოს. ყველაზე გავრცელებული შემთხვევებია, როცა ანგლიციზმი ინარჩუნებს ეტიმონის რამდენიმე მნიშვნელობიდან ერთ-ერთს, რომელიც ანგლიციზმების ლექსიკონებში აღნიშნულია მნიშვნელობის ნომრით (Görlah 2003: 31-32). ამ პროცესს **მნიშვნელობების რიცხვობრივად შეზღუდვა** ჰქვია. მაგალითად: „book-maker – „ბუკმეიკერი“ (1); „image“ – „იმიჯი“ (7); „country“ – „ქანთრი“ (10). არის ასევე შემთხვევები, როცა ანგლიციზმი აფართოებს თავის მნიშვნელობათა რიცხვს მიმღებ ენაში მისი ინტეგრირების შემდეგ. ამ პროცესს **მნიშვნელობების რიცხვობრივად**

გაფართოვება ეწოდება. მაგალითად: „commercial“ – „კომერციული“ (მნიშვნელობით „არა სახელწიფო მფლობელობაში მყოფი“).

ადაპტაციის სირთულე და მიმდინარეობა, პირველ რიგში, დამოკიდებულია დონორი და მიმღები ენების ლინგვისტური სისტემების მსგავსება-განსხვავებაზე. გორლახი, თავის წიგნში “English in Europe “ საუბრობს იმაზე, რომ ინგლისური სიტყვების ამჟამინდელი შემოდინება უპრეცედენტოა ევროპის ისტორიაში. თუმცა იგი მაინც ვერ შეედრება ფრანგულის მასობრივ ზეგავლენას, განსაკუთრებით XVIII-XIX საუკუნეებში. სავარაუდოა, რომ ანგლიციზმების რაოდენობა განაგრძობს ზრდას, თანაც არა მარტო იმ ქვეყნებში(ძირითადად აღმოსავლეთ ევროპაში), რომლებიც პოლიტიკური და იდეოლო-გიური შეზღუდვების წყალობით ჩამორჩნენ ამ პროცესს. სავარაუდოა, რომ ლექსიკის გარდა ზეგავლენის ქვეშმოექცევასხვა ლინგვისტური დონეებიც. ეს გავლენა უკვე იგრძნობა ფონოლოგიაში, სადაც მარგინალური ფონემები, რომლებიც სასაუბრო ანგლი-ციზმების დიდი რაოდენობის მეშვეობით შემოვიდა, მისაღები გახდა, და მორფოლო-გიაში, სადაც ინგლისური ნიმუშის სიტყვათშეხამებები უცხოურობას კარგავენ (Görlah 2003: 11-13). კიდევ უფრო ძლიერი ცვლილებები მიმდინარეობს წერილობითი სისტემის იმპორტირებაში იმის პარალელურად, რომ ინგლისურენოვანი ნასესხები სიტყვები ხელს უწყობს ლათინური ანბანის ხელმისაწვდომობას იმ საზოგადოებებში, სადაც განსხვავებული ანბანი გამოიყენება.

ანგლიციზმებისინტეგრირება ქართული ენის ლექსიკაში წარმოშობს იმის კვლევის აუცილებლობას, აქვთ თუ არა ნასესხებ ელემენტებს გარკვეული ზეგავლენა მთლიანობაში ქართული ენის ლინგვისტურ სისტემაზე.

დასავლეთ ევროპის ენებისაგან განსხვავებით, ინგლისურის გავლენა ქართული ენის ფონოლოგიასა და მორფოლოგიაზე შესაძლოა არც ისე შესამჩნევი იყოს, თუმცა აქაც გვაქვს გარკვეული შემთხვევები. აშკარაა, რომ ბევრი ინგლისური სიტყვა ლათინური დამწერლობით შემოდის ქართულში. განსაკუთრებით ეს ეხება კომპიუტერულ ჟარგონს. დღეს ქართული ინტერნეტ-ფორუმები სავსეა ამის მაგალითებით. ამგვარად, ხშირად შევხვდებით: „summary“ – „შეადგინა“; „მოვაწყით“ „think tank–ის მაგვარი შეხვედრა“; „სხვადასხვანაირი sea food“; „PR“; „HR“ და ა.შ.

ხშირად ამის მიზეზი არის ის, რომ რაღაც ცნება უკვე შემოსულია ენაში და გამოიყენება ამ ენაზე მოსაუბრეთა მიერ, მისი ორთოგრაფიული ადაპტაცია კი გვიანდება. შედეგად მიიღება ანგლიციზმი, რომელიც გრაფიკულად ისე გამოისახება როგორც ეტიმონი. სავარაუდოა, რომ ასეთი ლათინური დამწერლობის ანგლიციზმები ვერ დამკვიდრდება ენაში და სულ ცოტა ხანს იარსებებს, ჟარგონი ხომ ლექსიკის ყველაზე არამდგრადი შრეა. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ასეთ ანგლიციზმებს იყენებენ ინტერნეტ ფორუმებს და ჩატებში. ამ ანგლიციზმების საშუალებით კომუნიკანტები ერთმანეთს უფრო გასაგებად და ზუსტად გადასცემენ შეტყობინებას.

ლათინურ შრიფტზე ტრანსლიტერირდება სატელეფონო მესიჯები. ინგლისურადვე იწერება ასევე კომპიუტერული პროგრამების სახელწოდებები. მაგალითად, “Anonym mailer” -ი (მცირე მოცულობის საფოსტო პროგრამა); “UDP” და “TCP” პროტოკოლები. თუმცა კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარების გავლენა ენაზე ცალკე განხილვის საგანია, რომელსაც კვლავ დავუბრუნდებით.

§2. ანგლიციზმების მორფოლოგიური ადაპტაცია

ხანგრძლივ ენობრივ კონტაქტებს ორი ენის ღრმა ინტერფერენციასთან მივყავართ, რასაც თავის მხრივ შედეგად მოჰყვება მეტყველებაში ახალი ფონემებისა და მორფემების წარმოშობა, რომლებიც შემდგომში ენაში მკვიდრდება. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ბერძნული და ლათინური წარმოშობის ზოგადევროპული სიტყვათ-წარმოშობის ელემენტები, რომლებიც ფართოდ გავრცელდნენ თანამედროვე ენებში. რაც შეეხება ფონოლოგიური სისტემის შევსებას უცხოური ელემენტებით (ფონემებით), ეს თეორიულად სავსებით შესაძლებელია, მაგრამ პრაქტიკულად ძალზედ რთულად განსახორციელებელია, რასაც ბევრი ენათმეცნიერი აღნიშნავს კიდევ.

ანგლიციზმების უმეტესობა მეტნაკლებად ადაპტირდება ქართულის ფლექსიურ სისტემასთან. ინტეგრაციის ხარისხი, სიტყვის თავისებურებების გარდა, დამოკიდებულია იმაზე, მეტყველების რომელი ნაწილია იგი. სხვადასხვა მიზეზი შეიძლება

მოიძებნოს იმისათვის, რატომ ინტეგრირდა ერთი სიტყვა და რატომ ვერ ინტეგრირდა მეორე. სიტყვის ადაპტირების უნარი ასევე დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ემსგავსება ის მსესხებელი ენის სიტყვებს (Gorlah 2003: 102).

ინგლისური და ქართული ენის სისტემები სტრუქტურულად მკვეთრად განსხვავდება. ვინაიდან ანგლიციზმების უმეტესობა ბოლო ოცწლეულში შემოვიდა, ქართულში ინგლისური წარმოშობის სიტყვათწარმოების პროდუქტიული მორფემები არ გვაქვს. ერთმანეთის მსგავსი მორფემების არსებობა ინგლისურ რიგ ნასესხებ სიტყვებში (მიტინგი, პუდინგი, სმოკინგი, მარკეტინგი) ჯერ კიდევ არ მეტყველებს ამ მორფემების სესხებაზე, რადგანაც ისინი ქართულ ნიადაგზე დამოუკიდებელი არ არიან.

ინგლისური ენიდან “-man/-men” სუფიქსის მქონე ნასესხები სიტყვების დიდი რაოდენობის მიუხედავად („სპორტსმენი“, „ბარმენი“, „კონგრესმენი“, „რეკორდსმენი“, „ბიზნესმენი“ და სხვ.), ქართულ ენაში ეს სუფიქსი არ არის პროდუქტიული, რადგან ის მხოლოდ ნასესხებ სიტყვებში გვხვდება.

2.1 არსებითი სახელი

არსებითი სახელები ინგლისურენოვან ნასესხებ სიტყვებში ყველაზე დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი (80 % -მდე). მათი დიდი ნაწილი არის ის სიტყვები, რომლებიც ახალი საგნების, გამოგონებების და ცნებების სახელდებისათვის გამოიყენება. ქვემოთ შევეცდებით განვაზოგადოთ ის ძირითადი ცვლილებები, რასაც ანგლიციზმი არსებითი სახელი განიცდის ქართულ ენასთან ადაპტირების პროცესში.

1. ყველაზე თვალსაჩინო ზოგადი მორფოლოგიური ცვლილება, რომელსაც ანგლიციზმი არსებითი სახელი განიცდის, სახელობითი ბრუნვის ნიშნის „ი“-ს დამატებაა ბოლოთანხმოვნის ეტიმონისათვის. ეს ერთ-ერთი პირველი ნაბიჯია ანგლიციზმის „გაქართულებისათვის“. მაგ., „donor“ – „დონორი“, „barter“ – „ბარტერი“, „killer“ – „ქილერი“ და ა.შ.

2. ბუნდოვანია [i] ფონემით დაბოლოებული სახელები, რადგან მათში ბოლო „ი“ სახელობითი ბრუნვის ნიშნად არის მიჩნეული მაშინ, როცა სინამდვილეში ინგლისურენოვანი ეტიმონის ძირი ბოლოვდება [i] ფონემით. შედეგად ასეთი სიტყვების, მათ შორის საკუთარი სახელების, ბრუნება ზოგჯერ ისე ხდება თითქოს ბოლოთანხმოვნის

სიტყვები იყოს. მაგალითად „მეგმა თქვა“- მაშინ, როცა უნდა იყოს „მეგიმ თქვა“, რადგან Maggy ინგლისური სიტყვაა. კიდევ რამდენიმე მაგალითი: „ვისკს დავლევ“ ნაცვლად იმისა, რომ იყოს „ვისკის დავლევ“, გამომდინარე ინგლისური “whisky”-საგან; „პენალტს დავარტყამ“ უნდა იყოს „პენალტის დავარტყამ“, რადგან ინგლისური ეტიმონია “penalty”.

3. არის შემთხვევები, როცა ანგლიციზმის ინგლისური ეტიმონი მრავლობით რიცხვშია, მაგრამ ქართულში შემოსვლისას მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი სუფიქსები –s, –es თავის მორფოლოგიურ ფუნქციას კარგავენ, რადგან მთლიანი სიტყვა აღიქმება როგორც მხოლობითი რიცხვის ფორმა, მისი მრავლობითი რიცხვი კი იწარმოება ქართული გრამატიკის საერთო წესების მიხედვით სუფიქსის –ები დართვით. მაგალითად, რელსი (“rails”) – რელსები, ბუცი (“boots”)–ბუცები, “chips”–ჩიპსები და სხვ.

4. სიტყვებს breeches, shorts ინგლისურ ენაში მხოლოდ მრავლობითი რიცხვი აქვთ, მაგრამ ამ ანგლიციზმებს შესაძლოა ჰქონდეთ როგორც მხოლობითი, ისე მრავლობითის ფორმა. მაგალითად, ბრიჯი (“breeches”) – ბრიჯები, შორტი (“shorts”) – შორტები, სათვალე (“glasses”) – სათვალეები და სხვ.

5. არსებითი სახელების კომბინაციით წარმოდგენილი ინგლისური ატრიბუტული სინტაგმის სესხების შემთხვევაში ორი ვარიანტი დაფიქსირდა:

ა) როდესაც მსაზღვრელი არსებითი სახელი შესაძლოა ისეთივე ფორმით გადმოვიდეს, როგორც ინგლისურშია, ანუ ზედსართავი სახელის ქართულ სუფიქსს არ დაირთავს და არც ნათესაობით ბრუნვაში დგება. მაგალითად, „*ბიზნეს სკოლა*“, „*ოფის მენეჯერი*“, „*დოკინგ კონტროლი*“. ასეთი ტენდენცია გამლიერდა განსაკუთრებით ბოლო ათწლეულში და სავარაუდოა, რომ მომავალში ასეთი სიტყვათმეხამებები კიდევ უფრო გავრცელდება (Crystal 2001).

ბ) როდესაც ამ ტიპის ატრიბუტული სინტაგმის თარგმნისას, მსაზღვრელი, რომე-ლიც ინგლისურ ვარიანტში არსებითი სახელია, ქართულში ნათესაობით ბრუნვაში შემოდის ან ზედსართავი სახელით გადმოიცემა. მაგალითად, „*night club*“ – „*ღამის კლუბი*“, „*market research*“ – „*ბაზრის გამოკვლევა*“, „*stone wall*“ – „*ქვის კედელი*“, „*team work*“ – „*გუნდური მუშაობა*“ და სხვ.

2.2 ზედსართავი სახელი

ქართულში შემოსული ანგლიციზმი ზედსართავი სახელები ძირითადად არსებით სახელთან კომბინაციაში გვხვდება მსაზღვრელის პოზიციაში. ხოლო ისეთები, რომლებიც დამოუკიდებელ სიტყვებს წარმოადგენენ, ძირითადად პრედიკატივის პოზიციაზე გვხვდება. სხვადასხვა ზედსართავი სახელი, რომელიც თანამედროვე ქართულ ენაში შეიძლება შეგვხვდეს, შემდეგ მორფოლოგიურ ნიშნებს ატარებს:

1. ანგლიციზმი ზედსართავი სახელი მორფოლოგიური ცვლილებების გარეშე. მაგალითად, „compact disk“ – „კომპაქტ დისკი“, „office manager“ – „ოფის მენეჯერი“.

2. ანგლიციზმი ზედსართავი, რომელშიც ინგლისურ ფორმაზე ქართული სუფიქსია დამატებული. მაგალითად, „credit lines“ – „საკრედიტო ხაზები“.

3. ანგლიციზმი ზედსართავი, რომელშიც ინგლისური სუფიქსი ჩანაცვლებულია ქართულით. მაგ. „commercial“ – „კომერციული“, „visual“ – „ვიზუალური“.

4. ანგლიციზმი ზედსართავი, რომელიც ნაწარმოებია ინგლისური სუფიქსის შენარჩუნებით და მასზე ქართული სუფიქსის დამატებით: „marketing“- „მარკეტინგული“.

რეკლამები ანგლიციზმების ერთ-ერთი წყაროა. საყურადღებოა, რომ ხშირად ასეთი სიტყვების მნიშვნელობა მკითხველისთვის ან მაყურებლისთვის გაუგებარია, მაგრამ, რადგან ანგლიციზმების გამოყენება პრესტიჟულად ითვლება, მათ უხვად ვხვდებით სხვადასხვა სახის რეკლამაში. ერთ-ერთი ასეთი სიტყვაა „გრანულირებული“ („granulated“), რომელიც ნაწარმოებია ინგლისური ეტიმონისგან „granule“, რაც *მარცვალს* ნიშნავს. ეს სიტყვა გამოიყენება კომბინაციაში „გრანულირებული ყავა“ („granulated coffee“). აქ აღსანიშნავია ის, რომ სიტყვა granule ქართულში არ შემოსულა, მაშინ როდესაც მისგან ნაწარმოებ ზედსართავს სატელევიზიო რეკლამაში ვხვდებით. „გრანულირებულის“ მნიშვნელობა რიგითი მაყურებლისთვის უცნობია და მხოლოდ ინგლისური ენის მცოდნე თუ მიხვდება, როგორ ყავაზეა საუბარი.

ქართულში გვხვდება ანგლიციზმი არსებითი სახელები და იგივე ფუძის ზედსართავი სახელებიც. მაგალითად, „ლაზერი - ლაზერული“, „ოზონი -ოზონური“, „რეიტინგი - რეიტინგული“. ყოველთვის არ არის ადვილი იმის გარკვევა, ამ

ზედსართავების წარმოება თვით ქართულში ხდება, თუ ისინი ინგლისური ზედსართავი სახელის საფუძველზე დამკვიდრებული ანგლიციზმებია.

2.3 ზმნა

ინგლისურენოვანი ზმნების ინტენსიური შემოსვლა ქართულში დაკავშირებულია კომპიუტერული ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებასთან. ასე გაჩნდა სიტყვები: „დასეივება“, „დაფორმატება“, „დალაიქება“, „დასენდვა“, „დამატდაუნება“, „დაკლიკება“, „ჩეთაობა“.

ანგლიციზმი არსებითი სახელები ქართული სუფიქსების გამოყენებით ზმნებს ხშირად აწარმოებს. მაგალითად, „სკანერისაგან“ მივიღეთ „დასკანერება“. ეს უკანასკნელი რომ ქართულში უკვე შემოსული „სკანერისგან“ არის მიღებული და არა ინგლისური „scan“-სგან, მტკიცდება იმით, რომ გამოიყენება „დასკანერება“ და არა, მაგალითად, „დასკანვა“. არსებითი სახელისაგან ნაწარმოები სხვა სიტყვებია: „ამოპრინტერება“, „დამესიჯება“, „დაქსეროქსება“ და სხვა.

კომპიუტერის მომხმარებელთა მეტყველებაში ხშირად ვხვდებით ანგლიციზმების შემცველ გამოთქმებს, რომლებშიც შედის ქართული ფრაზული ზმნა-„მიცემა“. ეს გამონათქვამები ასახავს ბრძანებებს, რომელთაც მომხმარებელი კომპიუტერს ან სხვა მსგავსი პრინციპის ელექტრონულ მოწყობილობას ურთიერთობისას აძლევს. ასეთი გამოთქმებია „ქენსელ“ მიეცი (“cancel”), „იგნორ“ მიეცი (“ignore”), „ოქეი“ მიეცი (“ok”) და სხვა.

2.4 ზმნიზედა

ქართულ ანგლიციზმებში პრაქტიკულად არ მოიძებნება ზმნიზედები, რომლებიც ბოლოვდება სუფიქსით *-ly*. თუმცა ამ კატეგორიის სხვა სიტყვები მცირე რაოდენობით მაინც გვხვდება. უნდა ითქვას, რომ ეს სიტყვები სრულად ინტეგრირებული არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ გამოიყენება. ესენია „fifty-fifty“, „non-stop“, „online“, „live“, „off-topic“. მაგალითად, „როდის იქნები ონლაინ?“ ან „რეპორტაჟი ლაივში გადმოიცა“. ინტერნეტ ფორუმებზე შეხვდები სიტყვას „off - ტოპიკი“, ანუ ის, რაც ძირითად თემას არ ეხება.

“OK” გვხვდება არა მარტო როგორც შორისდებული, არამედ იშვიათად, მაგრამ მაინც როგორც ზმნიზედა (კარგის აღსანიშნავად). მაგალითად „ყველაფერი OK-ია“.

§3 აფიქსების ადაპტაცია

ყველა ენას, მათ შორის ქართულსაც, გააჩნია დერივაციული ნიმუში, რომელიც გამოხატავს „ვილაცას ვინც აკეთებს რაღაცას“. დენომინალური წარმოქმნა (მეტყვევ) გაცილებით იშვიათია, ვიდრე დევერბალური (მასწავლებელი). ინგლისურში ასეთი მოქმედი (აგენტი) არსებითი სახელის გამოსახატად გამოიყენება სუფიქსები - er, ist, man; მდებრობითი - ess. ეს სუფიქსები გარკვეულწილად ნაცნობია ქართულისთვის, რადგანაც ენაში დიდი ხანია არსებობს სიტყვები: როკი და როკერი, ტაქსი და ტაქსისტი, სპორტი და სპორტსმენი, პრინცი და პრინცესა. ამიტომაც, ინგლისურენოვანი სუფიქსების - er, ist, man, ess მნიშვნელობა ასე თუ ისე ნაცნობია, აქედან გამომდინარე ის ანგლიციზმები, რომლებიც ამ სუფიქსებს შეიცავს ნაკლებად უცხოდ გამოიყურება ქართული სიტყვების გვერდით (ფანჯიკიძე 1995).

ამგვარად, არ შეინიშნება, რომ ინგლისური აფიქსები, უმეტესად სუფიქსები, ქართულში პროდუქტიული გახდეს, თუ არ ჩავთვლით ადრეულ ეტაპზე შემოსულ სუფიქსს -ისტი, რომელიც საკუთრივ ინგლისური სუფიქსი არ არის („პიანისტი“, „ალპინისტი“, „ანგლისტი“, „ზვიადისტი“, „მიშისტი“ და სხვ.). როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართულში ანგლიციზმები თავისი ძირით შესაძლოა გახდეს დერივაციული პროცესის საფუძველი, თუმცა არც ერთი სუფიქსი არ გამხდარა პროდუქტიული.

ძალზედ იშვიათ შემთხვევებში ხდება - able სუფიქსის, როგორც მორფემის თავი-სივე მნიშვნელობით სესხება. ეს არ არის სტანდარტი ქართული ენისათვის, თუმცა საუბარში და ჟურნალისტთა მეტყველებაშიც შევხვდებით ხსენებული მორფემის გამოყენებით კონკრეტული სიტყვების წარმოების ცალკეულ შემთხვევებს. მაგალითად, „დისერტაბელური“, „კომუნიკაბელური“, „სტაბილური“, „რესპექტაბელური“ და სხვ.

თავი III

ანგლიციზმების სემანტიკური ტიპოლოგია ქართულ ენობრივ-კულტურულ სივრცეში

§1. ანგლიციზმების სემანტიკური ადაპტაციის თავისებურებები

სიტყვის სესხება კონკრეტულ სიტუაციაში ხდება. ეს ნიშნავს იმას, რომ სესხების პროცესში ჩართულია ან პოლისემიური ეტიმონის მხოლოდ ერთი მნიშვნელობა ან მონოსემიური ეტიმონი. ვინაიდან სიტყვის სესხება ხდება კონკრეტულ სიტუაციაში, შემდგომში მისი მნიშვნელობა შესაძლოა დავიწროვდეს სემანტიკურად (უფრო დაკონკრეტდეს), რეფერენტულად (საგანთა უფრო მცირე წყების აღნიშვნით), სტილისტურად, სოციალურად ან კონოტაციურად. სიტყვა შესაძლოა გახდეს მოდური ან პრესტიჟული თავის ნეიტრალურ ეტიმონთან შედარებით. ასეთია, მაგალითად, “ნოუ ჰაუ”, რომელსაც ტექნიკის სფეროში იყენებენ დასტილისტურად მარკირებულია როგორც პრესტიჟული.

სიტყვის ინტეგრირება მიმდებ ენაში გრძელდება სესხების შემდეგაც. თუ ანგლიციზმი არ დარჩა რეციპიენტი ენის სიტყვის სინონიმად, მან შესაძლოა განავითაროს განსხვავებული სემანტიკური ნიშნები, რომელიც ჩვეულებრივ ზღუდავს მის მნიშვნელობას, დაახალი მნიშვნელობები კონტექსტუალური შეზღუდვით, მეტაფორული და მეტონიმიური, ეფემისტური ან სახუმარო გამოყენებით და სხვა სახით, რომელიც რეციპიენტი ენის სიტყვებსაც ახასიათებთ (Plaut & Gonnerman 2000: 1-19).

რითია განპირობებული ანგლიციზმების გამოყენების საჭიროება სემანტიკური თვალთახედვით? პირველ რიგში, ანგლიციზმებს თავისი ქართული სინონიმებისაგან განსხვავებით მხოლოდ ერთი დენოტაციური მნიშვნელობა აქვთ, რის გამოც ისინი უფრო კონკრეტულია. გარდა ამისა, როცა ანგლიციზმი გვესმის ან ვკითხულობთ, ის ახდენს განსხვავებულ შთაბეჭდილებას, ვიდრე ქართული ექვივალენტი. ამგვარად, მათი კონო-ტაციური მნიშვნელობები განსხვავებულია. ზოგჯერ ადგილი აქვს ანგლიციზმის სემანტიკურად არა სწორად გამოყენებას. ერთ-ერთ ქართულ რადიოში ერთ-ერთ რუბრიკას ეწოდება “ახალი ჰიტი”, რომლის გამოცხადების შემდეგაც ეთერში

გადის სრულიად ახალი სიმღერა, რომელსაც ჰიტამდე ჯერ დიდი გზა აქვს გასავლელი. ამ რუბ-რიკას ჰყავს სპონსორი, რომელიც ყოველი ახალი სიმღერის გასვლის დროს სახელდება ეთერში. ანგლიციზმი „ჰიტი“ ამ შემთხვევაში შეცდომით არის გამოყენებული, რადგან ახალი სიმღერა არ შეიძლება იყოს ჰიტი და შეიძლება არც გახდეს ასეთად. ამ შემთხვევაში „ჰიტის“ გამოყენებას თავისებური პრაგმატულიმიზანი აქვს. სიტყვა „ჰიტი“ უფრო მოდურია და პრესტიჟულობის მეტი ელფერი აქვს, ვიდრე სიტყვას „სიმღერა“. შესაბამისად, „ახალი ჰიტი“ უფრო ახდენს ადრესატის ინტერესის სტიმულ-ლირებას, რასაც მოსდევს მსმენელთა რაოდენობის გაზრდა, რაც ბოლო ჯამში პროგრამის სპონსორის ფინანსური სარგებლის გაზრდაზეა გათვლილი.

ქართულ ენაში შემოსული ყველა ნეოლოგიზმი ადაპტაციის და ინტეგრირების საკმაოდ რთულ გზას გადის. ამ დროს მნიშვნელოვანია მიმღებ ენაში არსებული სიტყვების საპასუხო რეაქცია შემოსულ ახალ სიტყვაზე, რაც გარკვეულწილად განაპირობებს ამა თუ იმ სიტყვის სესხებას ან უკუგდებას. ამგვარად, ახალმა სიტყვამ შესაძლოა გამოიწვიოს ან ხელი შეუწყოს სემანტიკურ გადახრებს მიმღები ენის იმ სიტყვებში, რომელთაც თავდაპირველად ნეოლოგიზმის მსგავსი მნიშვნელობა ჰქონდათ. სიტყვის მნიშვნელობის შევიწროვება, სტილისტური მარკირება და სხვა სემანტიკური ცვლილებები ასტიმულირებს ან გამორიცხავს ნეოლოგიზმის სესხებას. მაგალითად, ინგლისური სიტყვა „ჰობის“ შემოსვლას და სესხებას ხელი შეუწყო ერთ დროს იგივე მნიშვნელობის მქონე სიტყვების – „სპორტი“, „გართობა“, „აზარტი“ მნიშვნელობათა გადანაწილებამ. მეოცე საუკუნის დასაწყისში სიტყვა „სპორტი“ იძენს ფიზიკური ვარჯიშის მნიშვნელობას. მნიშვნელობის დავიწროვებასთან ერთად, „გართობის“ ცნება ამოვარდა ამ სიტყვა სემანტიკური ველიდან. ძველი მნიშვნელობიდან დღეს შემოგვრჩა გამოთქმა „სპორტული ინტერესის გამო ანუ „გასართობად“ ან „აზარტის გამო“. რაც შეეხება სიტყვას „ჰობი“, რომელიც მე-20 საუკუნის 70-იან წლებში შემოვიდა ქართულში, ის საკმაოდ ადვილად დამკვიდრდა და ჩაენაცვლა სიტყვაშეთანხმებას „საყვარელი საქმიანობა“. ეს კი შესაძლებელი გახდა მისი სიმოკლის და მოქნილობის გამო.

რეგულარული გამოყენებისას ნასესხები სიტყვა ზოგჯერ იმდენად სცილდება თავის პირვანდელ მნიშვნელობას, რომ შუალედური რგოლი – საგნობრივ-ლოგიკური კავშირი „უცხოა“ და უკვე „ჩვეულ“ რეალიასა და ცნებას შორის შესაძლოა გახდეს

არაარსებითი, ან საერთოდ გაქრეს. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ისეთი სიტყვების თანამედროვე მნიშვნელობები, როგორცაა “კლუბი” (ორიგინალში – ხალხის კრება), “ვაგ ზალი” (ორიგინალში – სასეირნო დარბაზი), “პიონერი” (რაიმე საქმის დამწყები).

ანგლიციზმები თავიდან დომინირებდნენ ორ ფუნქციურ სტილში – ტექნიკურსა და სასაუბროში. რაც შეეხება მხატვრულ ტექსტში გამოყენებულ ინგლისურ სიტყვებს, ისინი ანგლიციზმებად არ განიხილება, არამედ მწერლის მიერ საკუთარ მეტყველებაზე ყურადღების მისაპყრობად გამოყენებულ სტილისტურ ერთეულებად აღიქმება.

საკმაოდ რთულია სემანტიკურ ცვლილებათა ტიპების განზოგადება. თუმცა ქართულ ანგლიციზმებში იკვეთება ძირითადად ორი სახის სემანტიკური ცვლილებები:

1. ეტიმონის რამდენიმე მნიშვნელობა ერთ მნიშვნელობამდე ვიწროვდება. ინგლისური ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა “set”-ის მნიშვნელობები სესხების შემდეგ ოცდახუთიდან ერთამდეა შემცირებული ქართულ სიტყვაში- “სეტი”, რომელიც საჩოგბურთო ასპარეზობის ტერმინია.

2. სიტყვის მნიშვნელობა გამოყენების ერთი ან რამდენიმე სფეროთი იზღუდება. ქართულში- “ბარელი” (barrel) გამოიყენება მხოლოდ ნავთობთან მიმართებაში.

შესაძლოა ასევე მოხდეს სიტყვის მნიშვნელობის განზოგადება, ან ერთი სფეროდან მეორეში გადასვლა. თუმცა მნიშვნელობის ასეთი ცვლილება იშვიათია. მიიჩნევენ, რომ საკონტაქტო სიტუაციაში, სიტყვის სესხების მომენტში მისი მხოლოდ ერთი მნიშვნელობის ათვისება ხდება. არის შემთხვევები, როცა ადრე ერთი რომელიმე მნიშვნელობით ნასესხებ სიტყვას შემდგომ დაემატა ამ სიტყვის ეტიმონის სხვა ახლად-ნასესხები მნიშვნელობაც. ანგლიციზმები, რომლებიც ტექნიკურ ტერმინოლოგიას განეკუთვნებიან, უმეტესად მონოსემანტიკურია (აქვთ ერთი რეფერენტი), რაც აადვილებს დიალოგს მეცნიერებს შორის, რადგან საერთო ტერმინის საშუალებით მათ ზუსტად იციან, რაზეა საუბარი. ინგლისური ენის სხვა ენებზე გავლენის პრობლემა ფართო სფეროა ენობრივი კონტაქტების მრავალი საერთო და კერძო საკითხის კვლევებისათვის. ჩვენი კვლევის ფარგლებს გარეთ დარჩა მრავალი აქტუალური საკითხი, რომლებიც სპეციალურ განხილვასა და შემდგომ კვლევას საჭიროებს. ისეთები, როგორცაა, მაგალითად, იდიომების სემანტიკური სესხების საკითხი.

§2. ანგლიციზმების ლექსიკურ–სემანტიკური კლასები

თანამედროვე ქართულ ენაში

ინგლისური ენის მიერ სხვა ენებიდან სიტყვების სესხების პროცესი საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა. დონორ ენად კი ის ბევრად უფრო გვიან ჩამოყალიბდა. მე-20 საუკუნემდე ინგლისურის ზეგავლენა სხვა ენებზე ძალიან მოკრძალებული იყო. პირველ ეტაპზე ამის ხელშემწყობი გახდა დიდი ბრიტანეთის ექსპანსია და უზარმაზარი ტერიტორიების კოლონიზაცია. მე-19 საუკუნეში ინგლისურის წვლილი ევროპული ენების ლექსიკაში გაიზარდა. ამ პროცესმა მოიცვა ყველა ძირითადი ევროპული ენა: ა) რომანული ენები: ფრანგული, იტალიური, ესპანური და პორტუგალიური; ბ) გერმა-ნიკული ენები: გერმანული, ჰოლანდიური, დანიური, შვედური და ნორვეგიული; გ) სლავური: რუსული, პოლონური, ხორვატული და სხვა. მე-20 საუკუნეში კომუნიკაციის ახალი საშუალებების წყალობით ინგლისურის კონტაქტი ევროპის სხვა ენებთან უფრო მჭიდრო გახდა. ამის შედეგი იყო ინგლისური სიტყვების ძალიან თავისუფალი და მრავალმხრივი ენობრივი სესხება ევროპული ენების მიერ. მეოცე საუკუნის ენობრივი კონტაქტების შესასწავლად აუცილებელია კულტურული და ეკონომიკური ურთიერ-ობების გამოკვლევა.

ანგლიციზმები გვხვდება ძირითადად პრესაში და ტელევიზიულ პროგრამებში, რომლებიც ემდგნება ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებას, მოდას, მუსიკას, კინოს, სპორტს და ა.შ. თითქმის ყველა ჟურნალისტს სიამოვნებს მკითხველის „დასაჩუქრება“ რაიმე ახალი სიტყვით. ანგლიციზმების გამოყენება კი პრესტიჟულად და ელიტარულად ითვლება. შეიძლება ითქვას, რომ ჟურნალ-გაზეთები და მასმედიის სხვა საშუალებები არის უცხოური სლენგის მთავარი აკუმულატორი. ძნელია ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროს დასახელება, რომელზეც ინგლისურმა ენამ ლექსიკური ზეგავლენა იქონია. ჩამოვთვლი მხოლოდ რამდენიმეს, სადაც მრავლადაა ანგლიციზმები: სპორტი, პოლიტიკა, კომპიუტერული და ტექნიკური ტერმინები, მუსიკა და ცეკვა, ტრანსპორტი, საზღვაო, მედიცინა, მეცნიერება, საზოგადოებრივი ცხოვრება, კინო, რადიო, ტელევიზია, ტანსაცმელი, საკვები და სასმელი, ცხოველები, ამინდი, სხვა.

ანგლიციზმების თემატური ჯგუფები ქართულ ენაში

თემატური სფერო	ანგლიციზმის ნიმუშები
სპორტი	ბოულინგი, სეტი, ტაიმი, რეფერი, ტრენერი, სკეიტ-ბორდი, ბოქსი, როკერი, სერფინგი, კორტი, დოპინგი, ბოდიბილდინგი, ფინიში, ბოქსი, ბადმინტონი, ოვერტაიმი.
პოლიტიკა	იმპიჩმენტი, სპიკერი, პრემიერი, მაჟორიტარი, პლურა-ლიზმი, იმპერიალიზმი, გლობალიზაცია, ლოიალური, აპარტეიდი, კონფორმიზმი, ლიბერალური, კამპანია, ფრაქცია. იზოლაციონიზმი,
კომპიუტერული და ტექნიკური ტერმინები	ბიტი, ბაიტი, ჩიპი, დისკი, ჩატი, თაიმლაინი, სერვერი, ვინდოუსი, დრაივერი, აპლიკაცია, ექსუნთი, კლიკი, ქულერი, იმეილი, ფაილი, გეიმერი, დრაივერი, დი ვი დი, ფონტი, პიქსელი,
ტელევიზია და რადიო	საკაბელო ტელევიზია, ლაივი, ტრანსლაცია, დიქტორი, შოუმენი, თოქ-შოუ, დისქავერი, X-ფაქტორი, კასტინგი, კლიპი, ვიზაჟისტი, კამერამენი, ონლაინი, ფანი, ანტენა, და სხვ.
მუსიკა და ცეკვა	ბენდი, ბლუზი, ტვისტი, სვინგი, სოული, ჰარდ როკი, ჩარლსტონი, ბრეიქ-დანსი, დიჯეი, ჯაზმენი, რეპი, ჰიტი, ტვისტი, სტეპი, ტანგო.
ტრანსპორტი	აერობუსი, ტრამვაი, ტროლეიბუსი, ვაგონი, აეროპორტი, ნავიგაცია, ტრანსპორტიორი, ტაქსი, რადარი, ანტიფრიზი,
საზღვაო	იახტა, იახტსმენი, ტანკერი, ბარჟა, ბალასტი. ლაინერი, კრუიზერი, აბორდაჟი, დამპინგი.
მედიცინა	ანესთეზია, ემერჯენსი, მულტივიტამინი, ანტიბიოტიკი, ტრანკვილიზატორი, სედატივი, პენიცილინი, ვიტამინი,
მეცნიერება	გრაფიტაცია, იზოტოპი, რადიაცია, შხამ-ქიმიკატები, კულტივაცია, ირიგაცია, ტესტირება და სხვ.
საზოგადოებრივი ცხოვრება	ბარი, ბარმენი, ბრიჯი, კლუბი, დისკოტეკა, პიკნიკი, გრილ-ბარი, ვიზიტი,
კინო	ოსკარი, ვესტერნი, თრილერი, ფენტეზი, ბლოკბასტერი, სკრიპტი, საუნდ-ტრეკი,
ტანსაცმელი	პულოვერი, სვიტერი, ბრიჯები, სტრეიჯები, შორტები, ჯინსი,
საკვები და სასმელი	ბეკონი, ბივშტექსი, ჯემი, სტეიკი, ჩიპსები, ჰოტ-დოგი, ბრენდი, ფასტ-ფუდი, სტეიკი,
ცხოველები	ალიგატორი, ანტილოპა, ბულდოგი, სეტერი, გრიზლი, ბიზონი, გორილა,
ამინდი	ციკლონი, ტაიფუნი, ტორნადო,
სხვადასხვა	კომფორტი, კავბოი, დენდი, ფლირტი, ფოლკლორი, პარკი, ნეილონი, პიკნიკი, ნოუ-ჰაუ

§3. კომპიუტერული ტექნოლოგიების სფეროში გამოყენებული ანგლიციზმები და მათი ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი

21-ე საუკუნის დასაწყისში ელექტრონული გამომთვლელი მანქანიდან კომპიუტერი მძლავრ მულტიმედიურ საშუალებად გადაიქცა, რომელიც ადამიანის საქმიანობის მრავალი სფეროს განუყოფელი ატრიბუტია. წერა-კითხვის მსგავსად, კომპიუტერის გამოყენების საფუძვლების ცოდნა თითოეული ადამიანისათვის აუცილებელი ხდება.

პირველ რიგში, გავიგოთ შეხების რა წერტილები გააჩნია ინფორმაციულ ტექნოლოგიებსა და ბუნებრივ ენას. ხდება თუ არა ქართული ენის ნგრევა და დეგრადაცია ან მისი გამოდევნა გამარტივებული ინგლისურით, ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის წესების უგულებელყოფით?

კომპიუტერული სლენგი ისე, როგორც თავად ინფორმაციული ტექნოლოგიები, განიცდის ინგლისური ენის გავლენას. საქმე გვაქვს ინგლისურენოვანი ტერმინების ტრანსლიტერაციასთან ან კალკირებასთან. კომპიუტერის სპეციალისტები ხშირად იყენებენ შემდეგ ჟარგონულ სიტყვებს: “ვინჩესტერი”, “კომპი”, “მაზერი”, “ქენსელ”, “იგნორი”, “ოქეი”, “რესტარტი”, “ფოლდერი”, “ფონტი”, “ჰელპი”, “მაუსი”, “სეივი” (დასეივება), „სერჩი“ და ა.შ.

კომპიუტერში ცვლილებას განიცდის თვით ტექსტის ფორმაც, ტექსტი იძენს არასწორხაზოვან ხასიათს, იქცევა თავისუფალ გარემოდ, რომელიც საშუალებას აძლევს მკითხველს გადაადგილდეს დოკუმენტის სხვადასხვა ნაწილებს შორის. ტერმინი „დოკუმენტი“ შემთხვევით არ არის გამოყენებული. ვებსაიტის გვერდი არ არის ტექსტი თავდაპირველი გაგებით, არამედ სხვადასხვა ნიშანთა სისტემების ურთიერთქმედებაა. გვერდზე მოთავსებულ ტექსტში შესაძლოა იყოს ბმულები სხვა ტექსტებზე და ასევე ჩართული იყოს აუდიო ან ვიდეო რგოლები.

ადამიანთა დიდი რაოდენობა დღეს პერსონალური კომპიუტერის ცნებას აიგივებს წერტილთან, საიდანაც მსოფლიო კომპიუტერულ ქსელთან დაკავშირება არის შესაძლებელი. ინტერნეტი ერთგვარი უნიკალური პოლიგონია, სადაც ხდება ბუნებრივი ენის გამოცდა.

ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროს ზრდა-განვითარებასთან ერთად მასში ჩნდება ჟარგონიზმები. ინგლისური ენის უშუალო გავლენის ქვეშ ფორმირებული ქართული კომპიუტერული ჟარგონი ითვისებს ინგლისურენოვანი ტერმინოლოგიის მნიშვნელოვან ნაწილს ტრანსლიტერაციის გზით (“ჰელფი”, “პრევიუ”, “ტოპიკი”, “ჰოსტი”), თუმცა მთლიანი ინგლისურენოვანი ტერმინოლოგიის სესხება არ ხდება. უნდა ითქვას, რომ პერსონალური კომპიუტერების გამოჩენამ ენაში დიდი რაოდენობით სიტყვა და გამოთქმა, მდიდარი ტერმინოლოგია შემოიტანა. მაგალითად: „ქსელის კარტა“, „მიკროპროცესორი“, „ოპერატიული სისტემა“, „დაფორმატება“, „ინსტალაცია“, „ვინჩესტერი“, „პიქსელი“, „დიალოგური ფანჯარა“, „ობიექტი“ და ა.შ. ამ ტერმინებიდან მრავალ ანგლიციზმია, თუმცა არც ისე იშვიათად ახალი ცნებების კალკირება-თარგმნა ხდება.

ათი წლის წინანდელი ჟარგონიზმები უკვე უცნობია მომხმარებელთა უდიდესი ნაწილისათვის, რომლებიც ახლა იწყებენ კომპიუტერთან მუშაობას. კომპიუტერული სლენგი განიცდის განუწყვეტელ ცვლილებას. სლენგი ენის ლექსიკის ყველაზე ცვალებადი შრეა (Крысин 2005: 21-22).

კომპიუტერულ მეცნიერებასა და წარმოებასთან ერთად საქართველოში ვირტუალური გასართობებიც შემოვიდა, ეს კომპიუტერული თამაშებია. სიტყვა „გეიმერი“ სწორედ მას უკავშირდება. ის წარმოიშვა ინგლისური ჟარგონიზმისგან (“gamer” - კომპიუტერული თამაშების პროფესიონალი მოთამაშე). სიტყვაში „სმაილიკი“ (“smiley” - მომღიმარე სახე, რომელიც ნიშნების შემდეგი თანმიმდევრობით გამოსახება : -) და მოსაუბრის ემოციას გამოხატავს), აღინიშნება რუსული ენის გავლენა, თუმცა ინტერნეტში უკვე ხშირად გვხვდება ქართული შესატყვისი „სიცილაკი“.

ჟარგონიზმებია ინგლისური წარმოშობის პროფესიული ტერმინები, რომელთაც გააჩნიათ ეკვივალენტი ქართულ ენაში: „ჰელპი“ – “help” – დახმარება; „ჰარდ დრაივი“ – „hard drive“ – „მყარი დისკი“; „დაკონექტება“ – „connect“ – „დაკავშირება“; „კლიკი“ – „click“ (დატკაცუნება, დაწკაპუნება) და ა.შ. ქართული ენის მიერ ნასესხები სიტყვების გრამატიკულ ათვისებას მოსდევს მათი სიტყვათწარმოების გაქართულება. მაგალითად: “Zip” გახდა წყარო სიტყვებისა – „დაზიპვა“, „დაზიპული“. საინტერესოა ასევე ისინონიმები, რომლებიც დაკავშირებულია კომპიუტერის ნორმალური მუშაობის

დარღვევასთან, როცა ის არც ერთ ბრძანებაზე არ რეაგირებს გარდა „Reset“ ლილაკისა. ასეთ კომპიუტერზე ამბობენ, რომ ის „დაეკიდა“, „ჩამოეკიდა“ ან „მოკვდა“. ეს ქართულ ენაში წარმოქმნილი ჟარგონიზმებია. კომპიუტერული ჟარგონული ლექსიკა დინამიური სისტემაა, რაც განპირობებულია კომპიუტერული ტექნოლოგიების სწრაფი პროგრესით.

ლინგვოკულტურული მიდგომა საშუალებას იძლევა წარმოვადგინოთ დამატებით ჰიპოთეზები, რომლებიც ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორების გათვალისწინებით შესაძლებლობას გვაძლევს ენის სფეროში ახალი მოვლენები ავხსნათ.

§4. სპორტის სფეროში გამოყენებული ანგლიციზმები და მათი ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი

ქართული სპორტული ტერმინოლოგია მე-20 საუკუნეში დანარჩენი ლექსიკისაგან გამოიკვეთა. ეს შეეხო არა მხოლოდ ქართულს, არამედ თითქმის ყველა თანამედროვე ენას. ამის მიზეზი სპორტის მაღალ დონეზე განვითარებაა, გაჩნდა სპორტის ახალი სახეობები, ახალი სპორტული სიტყვების დამკვიდრებას ენაში კი ხელი შეუწყო სპორტული ჟურნალისტიკის განვითარებამ. საერთაშორისო სპორტთან ახლო კავშირმა გამოიწვია ქართული სპორტული ტერმინოლოგიის საერთაშორისო სპორტულ ტერმინოლოგიასთან შესაბამისობა, რომელიც ძირითადად ინგლისურენოვანია. ძნელია რაიმე შესატყვისის მოძიება ისეთი ტერმინებისათვის როგორცაა „დრიბლინგი“ (dribbling) ან „დერბი“ (derby). „Dribble“ ინგლისურად, მეტოქე გუნდის მოთამაშეებს შორის ბურთით სიარულს ნიშნავს და ადვილი არ არის მას ისეთ ქართული შესატყვისი მოუძებნო, რომელიც მოკლე, ერთი სიტყვისგან იქნება შედგენილი და მოვლენის არსს ნათლად გამოხატავს. თუმცა ეს სიტყვა შეიძლება ვთარგმნოთ როგორც „გარღვევა“, მაგრამ ეს არ იქნებოდა სწორი, რადგან სიტყვას „გარღვევა“ მრავალი სემა აქვს და „დრიბლინგი“ მისი ერთ-ერთი ბოლო მნიშვნელობა იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მის აღსანიშნად გამოვიყენებდით. ასევე, თანამედროვე სპორტში ენებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია უნიფიცირებული ტერმინოლოგია, რადგანაც მუსიკის მსგავსად სპორტის, როგორც სანახაობის, ენა ყველასათვის გასაგებია.

ინგლისურენოვან ნასესხებ სიტყვათა რაოდენობის ზრდას ქართულ სპორტულ ტერმინოლოგიაში ხელს უწყობს ცენზურის და ავტოცენზურის შესუსტებაც. გლობალიზაციის ეპოქაში, ქართული სპორტის ენა „გამდიდრდა“ ამერიკანიზმებით, რომლებიც სპორტის სხვადასხვა სახეობაში საკმაოდ სწრაფად დამკვიდრდა.

ინგლისურენოვანი ნეოლოგიზმების უმრავლესობა სპორტულ ლექსიკაში მიეკუთვნება პირდაპირ ნასესხებ სიტყვებს და წარმოდგენილია შემდეგი თემატური ჯგუფებით: სპორტული თამაშებისა და სპორტის სახეობების სახელწოდებები („გოლფი“, „ბობსლეი“); კონკრეტული სპორტის წარმომადგენელთა სახელწოდებები („ფლეიმიეკერი“, „ფორვარდი“); მოძრაობების, ილეთების, მდგომარეობების სახელწოდებები (პრესინგი, მატჩპონტი); სპორტული ინვენტარი („პანჩინგბოლი“, „ბუცი“); შეცდომები, დარღვევები და სასჯელები („ოფსაიდი“, „ფოლი“); საასპარეზო სპორტული მოედნების ან მისი ნაწილის სახელწოდებები („ტრეკი“, „ფინიში“); პაექრობათა ტიპების და ნაწილების სახელები („გიგანტური სლალომი“, „რაუნდი“).

ქართულ სპორტულ ლექსიკაში ახალი სიტყვების ათვისებას ახასიათებს ფორმის ვარიაციულობა, ორთოგრაფიისა და წარმოთქმის არამდგრადობა. ქართულ ენაში სპორტული ანგლიციზმების ფონეტიკურ-ორთოგრაფიული ადაპტაციის პროცესში მათი ფორმა სტაბილიზდება, უახლოვდება ენა-რეციპიენტის ნორმებს და შორდება თავის უცხოურ ეტიმონს.

არსებობს სხვადასხვა ფაქტორი, თუ რატომ ხდება ახალი ანგლიციზმების ათვისება. ქართულ სპორტულ ლექსიკაში ინგლისური სიტყვების წილი ყოველთვის დიდი იყო. ინგლისური წარმოშობის სპორტული ტერმინები იმდენად შეერწყა თანამედროვე ქართულს, რომ მათი უცხოური წარმომავლობა არც კი იგრძნობა („სტარტი“, „ფინიში“, „რეკორდი“ და სხვა). გარდა ამისა, ინგლისური ლექსიკის შემოსვლაზე მოქმედებს რამდენიმე სიტყვიანი ცნების ერთი სიტყვით შეცვლის ტენდენცია. ასეთებია ის ლექსემები, რომლებიც ახალი რეალიების სახელდებისთვის კი არ არის ნასესხები, არამედ უკვე არსებული სპორტული მოვლენების ლაკონიურად გამოხატვის მიზნით: „ოვერტაიმი“ („დამატებითი დრო“), „ოფსაიდი“ („თანამგარე მდგომარეობა“), „ტრანსფერი“ („გუნდიდან გუნდში გადასვლა“), „დრაფტი“ („მოთამაშის შერჩევა“) და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სპორტულ ტერმინოლოგიაში ანგლიციზმები დიდი რაოდენობითაა, არსებობს ქართულ ძირზე ნაწარმოები სიტყვებიც: „მცველი“, „ნახევარმცველი“, „საჯარიმო“, „თავდამსხმელი“, „მსაჯი“ და ა.შ. აღსანიშნავია ისიც, რომ სპორტული პაექრობების სახელწოდებების უმეტესობა ქართულენოვანია: „ფეხბურთი“, „კალათბურთი“, „ხელბურთი“, „წყალბურთი“, „ჩოგბურთი“. თუმცა, ქართულში არის ინგლისური წარმოშობის სპორტის სახეობათა სახელწოდებებიც. ესენია: „გოლფი“, „ბოქსი“ და ა.შ.

ხშირ შემთხვევაში ქართულ ენაში ინგლისურენოვან ნასესხებ სიტყვებთან ერთად იგივე ცნების თუ მოვლენის აღმნიშვნელი ქართული სიტყვებიც არსებობს. მაგალითად:

“Referee”	რეფერი, მსაჯი
“Linesman”	ლაინსმენი, გვერდითი მსაჯი
“Offside”	ოფსაიდი, თამაშგარე
“Fan”	ფანი, გულშემატკივარი
“Half-back”	ჰავბეკი, ნახევარმცველი
“Forward”	ფორვარდი, თავდამსხმელი

მოცემული სიტყვების სემანტიკური ველი თითქმის ერთია, თუმცა ანგლიციზმებს შედარებით მეტი კონკრეტულობა ახასიათებს. მაგალითად, „ფანი“ შეიძლება იყოს მხოლოდ სპორტული გუნდის, სპორტსმენის ან პოპულარული შემსრულებლის გულშემატკივარი. ხოლო „გულშემატკივარს“ სემების უფრო ფართო სპექტრი გააჩნია. იგივე შეიძლება ითქვას „ფორვარდზე“, ის მხოლოდ სპორტულ სახეობებში გამოიყენება. „თავდამსხმელი“ კი შესაძლოა იყოს ბოროტმოქმედი, ვინც გამარცხის მიზნით მსხვერპლს თავს ესხმის.

უნდა ითქვას, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებში გამართული ტურნირების, ჩემპიონატების და სხვა პაექრობათა სახელები ორიგინალის სახით შემოდის ქართულში. მაგალითად: “NBA” – National Basketball Association, იმიფრება როგორც ეროვნული საკალბურთო ასოციაცია, თუმცა სპორტულ ახალ ამბებში ძირითადად “ენ ბი ეი” გამოიყენება. იგივე შეიძლება ითქვას გერმანულ “ბუნდესლიგაზე”.

ამრიგად, სპორტის ენაში წარმოდგენილი ანგლიციზმების უმრავლესობა არსებითი სახელებია. არსებობს ლექსემები, რომელთაც სინონიმური ურთიერთობა აქვთ

ქართულსიტყვებთან, მაგრამ ზევრ ანგლიციზმს ერთსიტყვიანი ქართული სინონიმი არ აქვს და სხვაგვარად მხოლოდ დესკრიფციული ფრაზით შეიძლება გადმოიცეს.

დასკვნა

ამრიგად, ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევის შედეგები შეიძლება განზოგადდეს შემდეგი დასკვნების სახით:

1. ქართულ ენობრივ-კულტურულ სივრცეში ანგლიციზმების შემოღინება და ინტეგრირება წარმოადგენს შეუქცევად პროცესს, რომელიც განპირობებულია როგორც გლობალიზაციით პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და ეკოლოგიურ სფეროებში, ასევე მისი თანმხლები ისეთი პრაგმატიკული ფაქტორებით, როგორსაც წარმოადგენს კულტურათაშორისი და სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობები, ინტერნეტული კომუნიკაცია, ბიზნესი და სხვა. ქართულ სინამდვილეში ინგლისური სიტყვების დამკვიდრება განპირობებულია ასევე ისეთი სოციოკულტურული და სტილისტური ფაქტორებით, როგორც არის მოდერნულობა, პრესტიჟულობა, ქალაქურობა, გამომ-ხატველობა და ინტერნაციონალიზაცია.

2. ინგლისურენოვანი სიტყვების შემოღინება ქართულ ენაში განპირობებულია არა მარტო იდეოლოგიური ცვლილებებით, არამედ უსაზღვროდ დიდი რაოდენობის ახალი ცნებების გაჩენით და იმ ხალხის ნაკლებობით, რომლებსაც აქვთ შესაბამისი კვლიფიკაცია ამ ცნებების ენობრივად გასაფორმებლად.

3. კვლევამ გვიჩვენა, რომ ინტეგრირების საწყის ეტაპზე სირთულეს წარმოადგენს ანგლიციზმების ადაპტირება ქართული ენის ფლექსიურ სისტემასთან, რის გამოც ამ ნეოლოგიზმებს აქვთ უფლექსიო სტადია ან ზოგჯერ ორმაგი ფორმები და ეს პერიოდი შესაძლოა გაგრძელდეს საკმაოდ ხანგრძლივად.

4. ქართულ ენაში დამკვიდრებული ანგლიციზმების უმეტესობა წარმოადგენილია არსებითი სახელით, თუმცა მათ ბაზაზე შესაძლოა მოხდეს მეტყველების სხვა ნაწილების წარმოება ქართული სუფიქსების გამოყენებით.

5. კვლევამ ასევე წარმოაჩინა, რომ ზოგიერთი ინგლისური მორფემა იმდენად ინტეგრირდა ქართულ ენაში, რომ არის შემთხვევები, როდესაც ახალი ქართული სიტყვები ინგლისური წარმოშობის მქონე მორფემებით იწარმოება.

6. კვლევის შედეგად დადგინდა ანგლიციზმების გავრცელების სხვადასხვა სფერო, სადაც განსაკუთრებით ინტენსიურად ხდება მათი გამოყენება. ისინი მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტს – პოლიტიკიდან დაწყებული

მოდით და საკვებით დამთავრებული. ანგლიციზმების ყველაზე ფართო მომხმარებელი ახალგაზრდა თაობაა. თუმცა ამავე დროს მათი გამოყენების სიხშირე დამახასიათებელია ისეთ სფეროებში დასაქმებული ადამიანებისათვისაც, როგორცაა ჟურნალისტიკა, პოლიტიკა, ტურიზმი, კომპიუტერული ტექნოლოგიები, ბიზნესი და ა.შ.

7. ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევა შეიძლება შეჯამდეს შემდეგი განზოგადებით. გლობალიზაციის პროცესში სხვადასხვა ენის მიერ ლექსიკური ერთეულების სესხება არის ჩვეულებრივი მოვლენა, რომელიც თეორიულად შეიძლება მივიჩნიოთ როგორც დადებით მოვლენად, ასევე საფრთხედ მიმღები ენის განვითარებისთვის. ძნელად მოიპოვება მსოფლიოში ენა, რომელსაც ინგლისურენოვანი ნასესხები სიტყვები არ ჰქონდეს ათვისებული. ეს პროცესი არ უნდა იქნეს აღქმული ცალსახად როგორც უარყოფითი მოვლენა, რადგან ენის ევოლუცია შეუძლებელია უცხოური ნეოლოგიზმებით გამდიდრების გარეშე.

8. დასკვნისათვის შეიძლება ითქვას, რომ კარგი იქნებოდა, შექმნილიყო პროფესიულ მთარგმნელთა და ლინგვისტთა ერთობლივი ასოციაცია, რომელიც რეკომენდაციებს შეიმუშავებდა ახლადშემოსული ცნებების და შესაბამისი ნეოლოგიზმების საყოველთაოდ მისაღები სტანდარტების დასამკვიდრებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Anglicisms in Europe. International conference. Abstracts. (2006). Universität Regensburg, 26-28. September 2006. <https://www.google.ge/+Anglicisms+in+Europe.+International+conference.+Abstracts.+Universitat+Regensburg+26.-28.+September+2006>
2. Crystal, David (2000). *Language Death*. UK: Cambridge University Press.
3. Crystal, David (2003). *English as a Global Language*. UK: Cambridge University Press.
4. Dunn J. (2006). Face control, electronic soap and the four-storey cottage with a jacuzzi: anglicisation, globalisation and the creation of linguistic difference. // *Anglicisms in Europe. International conference. Abstracts. Regensburg University, 26-28. Sept. 2006*, pp. 5-6.
5. Davitishvili N. (2018). On the Integration of Anglicisms into Present-Day Georgian. // *Studies in Literature and Language*, 17 (3), pp. 22-27. <http://www.cscanada.net/index.php/sll/article/view/10671>
6. Görlach M. (2001). *A Dictionary of European Anglicisms: A Usage Dictionary of Anglicisms in Sixteen European Languages*. Oxford University Press, USA. 2001. <https://www.google.ge/search?=Görlach+M.+A+Usage+Dictionary+of+Anglicisms+in+Selected+Europe+Languages.+Oxford.+OUP+2001>
7. Görlach M. (2003). *English Words Abroad. Amsterdam*. Benjamins, ca, 2003.
8. Gottlieb H., Shifting loyalties in Danish: From Germanisms to Anglicisms. // *International Conference Anglicisms in Europe, Regensburg University, Germany. 2006*, p. 9.
9. Hawkins, P. & E. Johnson (2016). The “Brexit” Debate: Britain vs the European Dream. // *Guardian*, March 4.
10. Herring S. *Computer-Mediated Communication: Linguistic, Social and Cross – Cultural Perspectives*. Amsterdam, 1996.
11. Maximova T. (2006). Anglicisms in Russian Mass-Media Discourse. // *Anglicisms in Europe. International conference. pp. 12-13*. <https://www.google.ge/+Anglicisms+in+Europe.+International+conference.+Abstracts.+Universitat+Regensburg+26.28.+September+2006>

12. McArthur T.(2008). Oxford Guide to World English. Oxford. OUP, 2008
13. Megrelishvili, Madonna, Koba Lomidze & Maia Alavidze (2014). *Adaptation and Integration of Anglicisms in Georgian in the Process of Globalization*. Kutaisi State University Press, Georgia (in Georgian).
14. Oxford English Dictionary (1989)Oxford: Oxford University Press.
15. Арнольд И.В. (1981). *Стилистика английского языка*. Москва: Просвещение.